პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 9 სექტემბერი, 1947 წ. № 180 (7964). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოსკოვ-ვოლგის არხის სახელწოდების შეცვლის შესახებ (1-ლი გვერდი).

ქალაქ მოსკოვის მშრომელთა წერილი საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი (1-ლი და მე-2 გვერდი).

მოსკოვის 800 წლისთავის შესახებ. მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის გ. მ. პოპოვის მოხსენება (მე-3 და მე-4 გვერდი).

საზეიმო სხდომა დიდ თეატრში მოსკოვის 800-წლისთავის აღსანიშნავად (მე-4 გვერდი).

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის კორეის საკითხზე წერილების გაცვლის გამო (მე-4 გვერდი).

მოსკოვი, კრემლი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად, მოსკოვის 800 წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილი, დედაქალაქის ყველა მშრომელის სახელით მგზნებარე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, საბჭოთა ხალხის დიდ მასწავლებელსა და ბელადს!

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე დედაქალაქის მშრომელთა მიერ მოპოვებული ყველა წარმატება განუყრელად არის დაკავშირებული თქვენს სახელთან.

თქვენი ბრძნული და ნაცადი ხელმძღვანელობით დედაქალაქის მშრომელებმა ომისწინა ხუთწლედების მანძილზე წარმატებით გადასწყვიტეს ამოცანა მოსკოვის გადაქცევისა ჩვენი ქვეყნის უდიდეს ინდუსტრიულ, სამეცნიერო და კულტურულ ცენტრად.

თქვენი ინიციატივით და თქვენი უშუალო მონაწილეობით შემუშავებულ იქნა დედაქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა.

ამ გრანდიოზული სტალინური გეგმის განსახორციელებლად მოსკოვის მშრომელებმა ააგეს მრავალი ასეული ახალი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობა, პირველხარისხოვანი მეტროპოლიტენი, მოსკოვ-ვოლგის არხი, საუცხოო სტადიონები, გააშენეს პარკები და ბაღები. ჩვენმა მშობლიურმა დედაქალაქმა ძლიერ იცვალა სახე, საბჭოთა ქვეყნის ლამაზი და კეთილმოწყობილი ქალაქი გახდა.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მოსკოველები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, სიყვარულითა და მადლობით გიწოდებენ თქვენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს და მისი დედაქალაქის მოსკოვის მხსნელს. 1941 წლის შემოდგომის მრისხანე დღეებში თქვენი ბრძნული გეგმითა და თქვენი წინამძღოლობით საბჭოთა არმიამ გაანადგურა ჰიტლერელთა ურდოები მოსკოვის მისადგომებთან, გაჰფანტა მითი გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ.

დიდი სამამულო ომის წლებში თქვენ დარაზმეთ და აღაფრთოვანეთ საბჭოთა ხალხი დიდი საბრძოლო და შრომითი გმირობისათვის, კიდევ უფრო მტკიცედ შეამჭიდროვეთ იგი ლენინის სახელოვანი დროშის გარშემო, მიიყვანეთ ჩვენი არმია და მთელი საბჭოთა ხალხი ჰიტლერულ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე.

ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების პერიოდში მოსკოვის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ზედიზედ აღწევენ წარმატებებს სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში, ახალი სტალინური ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

უდიდესი აღფრთოვანებითა და სიხარულით, საბჭოთა მთავრობისა და თქვენდამი, ჩვენო საყვარელო ბელადო და მასწავლებელო, უდიდესი მადლობის გრძნობით შევიტყეთ დღეს, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სამშობლოს წინაშე მოსკოვის მშრომელთა თვალსაჩინო დამსახურებისათვის, გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის, მრეწველობის, კულტურის განვითარებასა და დედაქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის განხორციელებაში მოპოვებული წარმატებებისათვის, ქალაქ მოსკოვის 800 წლისთავთან დაკავშირებით, მოსკოვი ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

ეს მაღალი ჯილდო კიდევ უფრო მეტ ძალას გვძენს, და ჩვენ ახალი ენერგიით განვაგრძობთ სოციალისტური მოსკოვის—ჩვენი საბჭოთა სამშობლოს დიადი დედაქალაქის მშენებლობას.

ჩვენო დიდო ბელადო, მშობლიურო მასწავლებელო და მეგობარო!

მუშები, მოსამსახურეები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მეცნიერები, პედაგოგები, ექიმები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები, დედაქალაქის ყველა მშრომელნი მოსკოველთა მტკიცე სიტყვას გაძლევენ:

— ძალღონის დაუზოგავად ვიშრომებთ ჩვენი მძლავრი საბჭოთა სამშობლოს და მისი დიდებული დედაქალაქის მოსკოვის შემდგომი აყვავებისათვის;

— მომავალშიც ვივლით საბჭოთა ხალხის ავანგარდში, ხალხისა, რომელიც ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ მიდის!

გაუმარჯოს ლენინის ორდენოსან ქალაქ მოსკოვს!

გაუმარჯოს და იფურჩქნებოდეს ჩვენი მძლავრი საბჭოთა სამშობლო!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

დიდება საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას — ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

დიდება საბჭოთა ხალხის ბრძენ ბელადსა და საყვარელ მასწავლებელს ამხანაგ **სტალინს!**

ერთსულოვნად მიღებულია მოსკოვის 800 წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილ მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად შედგა 1947 წლის 6 სექტემბერს.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
მოსკოვ-ვოლგის არხის სახელწოდების შეცვლის შესახებ

ქალაქ მოსკოვის 800 წლისთავის აღსანიშნავად მოსკოვ-ვოლგის არხს ეწოდოს **„მოსკოვის სახელობის არხი“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1947 წლის 6 სექტემბერი.

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელები ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ მოსკოვის 800 წლისთავს

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საწარმოთა მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავის აღსანიშნავად აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის შეუპოვარი ბრძოლის შედეგად ახალ საწარმოო წარმატებებს მიაღწიეს. დედაქალაქის 800 წლისთავის სახელოვანი იუბილესათვის მოსკოვის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების 9 თვის გეგმა და მოსკოვის ოლქის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა რვა თვის გეგმა.

წარმოების ტემპები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების ზრდა მიმდინარე წლის 8 თვეში 26 პროცენტზე მეტს შეადგენს 1946 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. მოსკოვის ოლქის 600 საწარმომ ვადამდე შეასრულა 9 თვის გეგმა. ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის 112 საწარმომ დაამთავრა წლიური გეგმის შესრულება.

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საწარმოებში გრძელდება ბრძოლა წარმოების ტემპების შემდგომი გადიდებისათვის, დიდი ოქტომბრის 30-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. (საქტესი).

საქართველოს საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს 9 თვის გეგმა

საქართველოს სსრ საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა 1947 წლის 8 თვეში 104,7 პროცენტით შეასრულეს 9 თვის გეგმა. გამოშვებულია უცვლელ ფასებში 136.420 ათასი მანეთის პროდუქცია.

ქალაქ მოსკოვის მშრომელთა წერილი საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს, გიძღვნით ჩვენ, მოსკოვის მშრომელნი, ჩვენს პირველ სიტყვას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელოვანი დედაქალაქის 800 წლისთავის ღირსშესანიშნავ დღეს.

მოსკოვის 800 წლისთავი მთელი საბჭოთა ხალხის დღესასწაულია. რუსებისა და უკრაინელებისათვის, ბელორუსებისა და ქართველებისათვის, აზერბაიჯანელებისა და სომხებისათვის, ყაზახებისა და უზბეკებისათვის, ლატვიელებისა და ესტონელებისათვის, თურქმენებისა და ტაჯიკებისათვის, ლიტველებისა და კარელიელებისათვის, მოლდაველებისა და ყირგიზებისათვის, მთელი ჩვენი ხალხებისათვის, რომლებიც ჩვენს დიდ სამშობლოში სახლობენ და გაერთიანებული არიან ერთიან, მეგობრულ ოჯახში, მოსკოვი მშობლიური და მახლობელია, როგორც მოსიყვარულე დედა.

მოსკოვი არის ჩვენი ქვეყნის მთელი პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ცენტრი, ყველაზე მოწინავე იდეების — ლენინ-სტალინის დიადი იდეების ცენტრი. აქ თავმოყრილია პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ყველა ძაფი. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა აქედან წარმართავენ ერთიანი მიზნისაკენ — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ — ყველა საბჭოთა ადამიანის ნებას, ენერგიასა და ღონისძიებებს.

კრემლის ჭადარა კედლებთან სამარადისო ძილით განისვენებს ჩვენი ძვირფასი ილიჩი. მაგრამ უკვდავია მისი ყოვლისმძლე საქმე! ამ საქმეს განაგრძობთ თქვენ, ჩვენი ბრძენი ბელადი, ჩვენი საყვარელი მასწავლებელი და მშობლიური მამა. გულდაჯერებით და მტკიცედ მიგყავთ თქვენ საბჭოთა ხალხი ლენინის მიერ დასახული და ნაანდერძევი გზით.

შორი მანძილია მოსკოვიდან წყნარ ოკეანემდე და დუნაის ნაპირებამდე, პამირის მთებამდე და იმიერ-პოლარეთის მუდმივ თოვლებამდე, კავკასიონის მწვერვალებამდე და ბალტიკამდე. მაგრამ საბჭოთა მიწა-წყლის ყოველი კუთხიდან მოსჩანან კრემლის კაშკაშა ვარსკვლავები, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და დიდების სიმბოლო, მისი ხალხების ერთიანობისა და მეგობრობის სიმბოლო.

Москва!.. Тобой развеяна незнаний
мгла!
Москва!.. Ты зори разума зажгла!
Ведь ты была обителью всегда
Мужей искусств, науки и труда.
Ты—центр,
Где рос и креп
Из рода в род
Великий русский богатырь—народ.

მოსკოვიდან რვა ათას კილომეტრზე, შორეულ იაკუტიაში შექმნა ხალხურმა შემოქმედებამ ეს სტრიქონები. მოსკოვის, საბჭოთა ადამიანების საყვარელი ქალაქის, ჩვენი დიდი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქის ქებადიდება ჟღერს სსრ კავშირის ყველა ხალხის ენაზე.

მაგრამ მარტო საბჭოთა ადამიანებისათვის როდია ძვირფასი მოსკოვი — იგი ძვირფასია მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობისათვის. მისკენ მიპყრობილია ყველა ქვეყნის მშრომელთა თვალი, რომლებიც საბჭოთა კავშირში ხედავენ მსოფლიო ცივილიზაციის მხსნელს. მსგავსად იმისა, როგორც შუქურა თავისი შუქით ჰფანტავს ღამის წყვდიადს, — სწორედ ისე ჩვენი სახელოვანი დედაქალაქიდან მომდინარეობენ კაცობრიობის აღმაფრთოვანებელი მშვიდობისა და დემოკრატიის იდეები, რომლებიც ჰფანტავენ რეაქციის შავ ღრუბლებს.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

მოსკოვის 800 წლისთავის დღეს ჩვენს ხსოვნაში ცოცხლდებიან ისტორიული მოვლენები, რომლებიც საბჭოთა ხალხის ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენენ.

იური დოლგორუკის მიერ 1147 წელს დაარსებული მოსკოვი გახდა რუსული მიწა-წყლის დიდი შემკრები. საუკუნეთა მანძილზე იგი არაერთგზის მეთაურობდა რუსი ხალხის ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ძველისძველი კრემლის კედლებიდან კულიკოვოს ველზე მიედინებოდნენ დიმიტრი დონსკოის რაზმები, რომლებმაც ნეპრიადვის ნაპირებზე დაამარცხეს მამაი ყაენის ურდოები. მოსკოვის მთავარმა ივანე III-მ, 100 წლის შემდეგ, დაამთავრა სახელოვანი კულიკოვოს გამარჯვება, საბოლოოდ გაათავისუფლა რუსული მიწა-წყალი თათარ-მონღოლთა უღლისაგან და შექმნა რუსეთის დამოუკიდებელი და მძლავრი ცენტრალიზებული სახელმწიფო.

პოლონეთ-შვეციის ინტერვენციის მძიმე წლებში, XVI და XVII საუკუნეების მიჯნაზე, მოსკოვი კვლავ გახდა რუსი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ცენტრი. აქ, მოსკოვის ქუჩებში შეხვდნენ უცხოელ დამპყრობთ მამაცი მოლაშქრენი კოზმა მინინისა და დიმიტრი პოჟარსკისა — ორი დიდი რუსი პატრიოტისა, რომელთა წმიდა სახელები, როგორც მხატვრულად სთქვა ბელინსკიმ, არასოდეს არ გაჰქრებიან მარადისობის ოკეანეში.

1812 წელს მოსკოვმა ისტორიული როლი შეასრულა ნაპოლეონის ბატონობისაგან რუსეთისა და მთელი ევროპის გადარჩენის საქმეში.

1812 წლის 7 სექტემბერს იქუხა ბოროდინოს ისტორიულმა ბრძოლამ მოსკოვთან.

…ტყუილად როდი ახსოვს მთელ რუსეთს
ბოროდინოს სახელოვანი დღე!

ეს დღე იყო რუსული იარაღის უჭკნობი დიდების დღე და აღსასრული ნაპოლეონის არმიებისა, რომლებიც მანამდე „უძლეველად“ ითვლებოდნენ.

ნაპოლეონის ძალები დაიმსხვრნენ მოსკოვის კედლებზე. მოსკოველებმა ამჯობინეს გადაეწვათ თავიანთი ქალაქი, ვიდრე უცხოელ დამპყრობს დამორჩილებოდნენ. მოსკოვის ხანძრის ამბავი საგანგაშო ზარივით გაისმა მთელ ჩვენს ქვეყანაში. აქ, მოსკოვში, „სახალხო ომის კეტმა“ ნაპოლეონის არმიებს აგემა პირველი გამანადგურებელი დარტყმა, რაც ინტერვენტებისათვის მომაკვდინებელი აღმოჩნდა.

უაღრესად დიდია მოსკოვის დამსახურება არა მარტო რუსული სახელმწიფოებრიობის განვითარებაში, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ რუსული ეროვნული კულტურის განვითარებაშიც.

აქ რუსმა პირველმბეჭდავმა ივანე ფედოროვმა გამოსცა პირველი რუსული წიგნი. აქ ხალხიდან გამოსული ნიჭიერი ხუროთმოძღვრები ჰქმნიდნენ ეროვნული ხუროთმოძღვრების დიად ნაწარმოებებს. აქ ცხოვრობდნენ და ჰქმნიდნენ გამოჩენილი მწერლები, პოეტები, მეცნიერები, მხატვრები. აქედან, მოსკოვიდან, კულტურის შუქი ვრცელდებოდა მთელ ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანაში.

მოსკოვში სწავლობდა და აქ დააარსა რუსეთის პირველი უნივერსიტეტი რუსული და მსოფლიო მეცნიერების კორიფემ მიხაილო ვასილის-ძე ლომონოსოვმა, რომლის სახელოვან ტრადიციებს ღირსეულად განაგრძობდნენ თვალსაჩინო მოსკოველი მეცნიერები სეჩენოვი, სტოლეტოვი, ტიმირიაზევი, ჟუკოვსკი, პიროგოვი და მრავალი სხვა.

მოსკოვში ცხოვრობდა და ჰქმნიდა დიდი პუშკინი — რუსული პოეზიის მზე. ცოტა მგზნებარე შთაგონებული სტრიქონი როდი მიუძღვნა მან ჩვენს ძველისძველ დედაქალაქს:

Как часто в горестной разлуке,
В моей блуждающей судьбе,
Москва, я думал о тебе!
Москва... Как много в этом звуке
Для сердца русского слилось!
Как много в нем отозвалось!

მოსკოვში სწავლობდა, ცხოვრობდა, ჰქმნიდა თავის საუცხოო, ტკბილხმოვან ლექსებს ლერმონტოვი. აქ ჰქმნიდნენ გრიბოედოვი და ბელინსკი, ტოლსტოი და ოსტროვსკი, ჩეხოვი და გორკი. ვორობიოვის ძველ გორაკებზე გერცენმა და ოგარიოვმა დასდეს წმიდა ფიცი — სიცოცხლე შესწირონ სამშობლოს, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას. აქ, მოსკოვში, შეიქმნა რეპინისა და სურიკოვის საუკეთესო ტილოები, რუსული მუსიკის გენიის ჩაიკოვსკის თვალსაჩინო ნაწარმოებნი. სახელგანთქმული რუსი ხუროთმოძღვრები: ბაჟენოვი და კაზაკოვი ამშვენებდნენ ქალაქს ისეთი შენობებით, რომლებიც სამართლიანად ითვლებიან მსოფლიო არქიტექტურის შედევრებად.

მოსკოვს თვალსაჩინო ადგილი უკავია რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში. ჯერ კიდევ სამოცდაათი წლის წინათ მეფის სასამართლოს კედლებიდან მთელ რუსეთში გახმაურდა მოსკოველი ფეიქრის პეტრე ალექსეევის წინასწარმეტყველური სიტყვები: „აღიმართა მილიონობით მუშა ხალხის ძარღვიანი ხელი, და დესპოტიზმის უღელი, რომელსაც ჯარისკაცთა ხიშტები იცავენ, ნაცარ-ტუტად იქცევა!“.

რუსეთის რევოლუციის ისტორიაში უდიდესი როლი შეასრულა მოსკოვის შეიარაღებულმა აჯანყებამ 1905 წლის დეკემბერში. „მეფის მონარქიაში, — სწერდა ვ. ი. ლენინი მოსკოველი მუშების დეკემბრის აჯანყებაზე,—გაკეთდა პირველი გარღვევა, რომელიც ნელა, მაგრამ განუხრელად ფართოვდებოდა და ასუსტებდა ძველს, საშუალოსაუკუნეობრივ წყობილებას“. ჩვენ სიამაყით ვიგონებთ იმ მაღალ შეფასებას, რომელიც თქვენ, ამხანაგო სტალინ, მიეცით მოსკოვის პროლეტარიატის რევოლუციურ სიმტკიცესა და შეგნებულობას, მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის როლს. პარტიის V ყრილობის მომზადების პერიოდში თქვენ სწერდით: „პეტერბურგისა და მოსკოვის პირით ლაპარაკობს მთელი შეგნებული პროლეტარიატი. მოსკოვი და პეტერბურგი მიუძღვებიან დანარჩენ ქალაქებს“.

მოსკოველი ბოლშევიკები, რომლებიც მასებს ამზადებდნენ თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის, განუხრელად მიდიოდნენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა და თქვენს მიერ, ამხანაგო სტალინ, ნაჩვენები გზით. „მოსკოვი გაფიცულია. გაუმარჯოს მოსკოვს!“ — სწერდით თქვენ ბურჟუაზიისა და მემამულეების დროებითი მთავრობის წინააღმდეგ მოსკოვის პროლეტარიატის ბრძოლაზე.

1917 წლის ოქტომბერში მოსკოველმა მუშებმა ცხადჰყვეს ორგანიზებულობის, გმირობისა და რევოლუციური სიმტკიცის მაგალითი, გაანადგურეს კონტრრევოლუციის ძალები და ჩვენს ძველისძველ დედაქალაქში სახალხო საბჭოთა ხელისუფლება განამტკიცეს.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა პეტროგრადსა და მოსკოვში, ტრიუმფალური მარშით გაიარა მთელი ჩვენი ქვეყანა და კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა—სოციალიზმის ერა.

* * *

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

სოციალისტური მშენებლობის ოცდაათი წელი შეადგენს ყველაზე უფრო გმირულ, ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავ ეპოქას ჩვენი ქვეყნისა და მისი დედაქალაქის — მოსკოვის ცხოვრებაში.

მრავალი სახელოვანი და ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა ამ ოცდაათი წლის განმავლობაში, რომლებიც მნიშვნელობით საუკუნეებს უდრიან. და თვითეული ამ მოვლენათაგანი განუყრელად დაკავშირებულია თქვენს სახელთან, ჩვენო დიდო და საყვარელო ბელადო!

ჩვენთვის, მოსკოველებისათვის, და მთელი ხალხისათვის ღირსშესანიშნავ მიჯნას წარმოადგენს 1918 წლის 11 მარტი, როცა მოსკოვს გადმოვიდა საბჭოთა მთავრობა და ჩვენი ძველისძველი ქალაქი მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა.

დედაქალაქის მშრომელებმა მოსკოვის საბჭოს დეპუტატის პირველი მანდატი გადასცეს დიდ ლენინს — ჩვენი სახელმწიფოს შემქმნელს. ამ მანდატს ჩვენ ვინახავთ, როგორც წმიდა რელიქვიას, და ვლადიმერ ილიას-ძეს სამარადისოდ ვთვლით ჩვენს დეპუტატად.

თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, თავისი არსებობისათვის ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ბრძოლის მკაცრ წლებში მოსკოვის მშრომელები არ ზოგავდნენ ძალებსა და სიცოცხლეს ოქტომბრის დიად მონაპოვართა დასაცავად, თავისი მშობლიური საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად. მოსკოველები დიდი მადლიერების გრძნობით იგონებენ, თუ როგორ ჩაუდექით სათავეში თქვენ, ამხანაგო სტალინ, იმ დღეებში დედაქალაქის დაცვას, თუ როგორ მოაწყეთ სერპუხოვში არსებული თქვენი შტაბიდან დენიკინის განადგურება მოსკოვის შორეულ მისადგომებზე.

ათასობით მოსკოველი იარაღით იცავდა საბჭოთა ხელისუფლებას. მერვედი გირვანქა პურით იკვებებოდნენ, შიმშილსა და სიცივეს ითმენდნენ მოსკოველები. მაგრამ ისინი სულით არ დაცემულან, თავი არ ჩაუკიდნიათ, არ დაუკარგავთ ჩვენი დიადი სახალხო საქმის რწმენა! იმ მკაცრ წლებში მოსკოველი მუშები გამოვიდნენ პირველ კომუნისტურ შაბათობებზე, რომელთაც ვლადიმერ ილიას-ძემ უწოდა „დიადი თაოსნობა“, რასაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტურ მშენებლობაში. მთელ მსოფლიოში გაისმა მაშინ მოსკოვიდან ილიჩის სიტყვები, რომ კაპიტალიზმი შეიძლება დამარცხდეს და საბოლოოდ კიდეც დამარცხდება იმით, რომ სოციალიზმი შეჰქმნის შრომის ახალ — გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას.

მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციამ და მისი ხელმძღვანელობით დედაქალაქის ყველა მშრომელმა უდიდესი მუშაობა გასწიეს სამეურნეო ნგრევის დასაძლევად. 1921 წელს მოსკოვის მრეწველობა იმ პროდუქციის მხოლოდ მეექვსედს იძლეოდა, რომელსაც 1913 წელს ამზადებდა. გაჩერებული იყო მრავალი ქარხანა და ფაბრიკა. არ კმაროდა სათბობი, ნედლეული, ელექტროენერგია. მაგრამ ბოლშევიკების პარტიამ მტკიცედ და რწმენით მიჰყავდა ჩვენი ქვეყანა სიძნელეთა გადალახვის გზით, სოციალიზმის მშენებლობის გზით. „ნეპის რუსეთიდან შეიქმნება სოციალისტური რუსეთი“, — სთქვა ვლადიმერ ილიას-ძემ მოსკოვის საბჭოს სხდომაზე 1922 წელს — დედაქალაქის მშრომელთა წინაშე თავისი უკანასკნელი გამოსვლის დროს.

ჩვენ გვახსოვს მძიმე, 1924 წელი, როცა საბჭოთა ხალხმა დაჰკარგა თავისი დიდი მასწავლებელი და ბელადი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ლენინის დროშა, ბოლშევიკური პარტიის დროშა მაღლა ასწიეთ და შემდგომ ატარეთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, ვლადიმერ ილიას-ძის ერთგულმა თანამოსაგრემ, მისი უკვდავი საქმის ღირსეულმა მემკვიდრემ და დიდმა განმგრძობმა.

მოსკოვის მშრომელები სიყვარულითა და სიამაყით იგონებენ იმ ჩანაწერს, რომელიც თქვენ გააკეთეთ 1924 წელს მოსკოვის ქარხანა „დინამოს“ წითელ წიგნში:

„ვუსურვებ ქარხანა „დინამოს“ მუშებს, ისე როგორც მთელი რუსეთის მუშებს, რომ ჩვენი მრეწველობა განვითარებულიყოს უაღრესად, რომ პროლეტართა რაოდენობა რუსეთში უახლოეს პერიოდში გადიდებულიყოს 20-30 მილიონამდე; რომ სოფლად აყვავებულიყოს კოლექტიური მეურნეობა და თავისი გავლენისათვის დაემორჩილებინოს კერძო მეურნეობა; რომ ინდუსტრიასა და კოლექტიურ მეურნეობას სოფლად საბოლოოდ დაერაზმოთ ფაბრიკების პროლეტარები და მიწის მშრომელები ერთ სოციალისტურ არმიად“.

გამართლდა თქვენი წინასწარმეტყველური სიტყვები, ამხანაგო სტალინ. საბჭოთა ქვეყანა ისე გამოიცვალა, რომ ვეღარ იცნობთ.

ჩვენმა ხალხმა დაამხო კაპიტალისტებისა და მემამულეების ხელისუფლება და დაამსხვრია დასავლეთის ქვეყნების კაპიტალისტებისაგან ეკონომიური და სულიერი დამოკიდებულების ბორკილი, რომლითაც მეფის რუსეთის მმართველი კლასები ცდილობდნენ ჩვენი სახელოვანი, თავისუფლებისმოყვარე ხალხის შებოჭვას. ბოლშევიკური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით უმოკლეს ვადაში ბოლო მოეღო რუსეთის საუკუნოებრივ ჩამორჩენილობას.

ჩვენი სამშობლო გახდა მძლავრი ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფო. ლიკვიდირებულია ექსპლოატატორული კლასები, აგებულია სოციალისტური საზოგადოება, მოხდენილია კულტურული რევოლუცია, საბჭოთა ხალხის ყოფა-ცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუცია — სტალინური კონსტიტუცია.

სოციალიზმის საფუძველზე ფართოდ განვითარდნენ სსრ კავშირის ხალხთა საწარმოო ძალები. მილიონობით უბრალო ადამიანი — მუშები, გლეხები და ინტელიგენცია გახდნენ ახალი ცხოვრების ნამდვილი გმირები და შემოქმედნი. და ყოველი საბჭოთა ადამიანი, რა უბანზედაც უნდა შრომობდეს, პირველი შეხედვით რა მოკრძალებულ, უმნიშვნელო სამუშაოსაც უნდა ასრულებდეს,—მთელი არსებით გრძნობს თავისუფალი შრომისა და შემოქმედების სიხარულსა და ბედნიერებას, ესმის, თუ რა დიდად მართალი იყავით თქვენ, ძვირფასო მასწავლებელო, როცა სთქვით, რომ „კაპიტალიზმის ბორკილისაგან თავისუფალი უკანასკნელი საბჭოთა მოქალაქე მთელი თავით უფრო მაღლა სდგას ყოველ საზღვარგარეთელ მაღალ თანამდებობის მოხელეზე, რომელიც თავისი კისრით მიათრევს კაპიტალისტური მონობის უღელს“.

დედაქალაქის მშრომელებმა სერიოზული წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის თქვენი ბრძნული, შორსმჭვრეტელური პროგრამის განხორციელების საქმეში. მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია პარტიის გენერალური ხაზის გამარჯვებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აგებისათვის ბრძოლაში კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის უაღრესად საიმედო დასაყრდენი იყო.

ოქტომბრის რევოლუციამდე მოსკოვის მრეწველობაში უპირატესი ადგილი ეკავათ საფეიქრო საწარმოებს. ამჟამად მოსკოვი გახდა უდიდესი ინდუსტრიული ცენტრი, საბჭოთა მანქანათმშენებლობის ცენტრი. გაიზარდნენ ახალი პირველხარისხოვანი ქარხნები—ისეთები, როგორიცაა კუიბიშევის სახელობის ელექტროქარხანა, ბურთობსაკისრის ქარხნები, ორჯონიკიძის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა, „კალიბრი“, „ფრეზერი“ და ბევრი სხვა. რაც შეეხება რეკონსტრუირებულ საწარმოებს, იქ ძველისაგან დარჩნენ მხოლოდ მოსკოველი მუშების რევოლუციური ტრადიციები, ყოველივე დანარჩენი ახალია!

აი, მაგალითად, ყოფილი ქარხანა „ამო“. ახლა ეს არის მსოფლიოში უდიდესი საავტომობილო საწარმო. იგი ღირსეულად ატარებს თქვენს დი-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ქალაქ მოსკოვის მშრომელთა წერილი საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი

(დასასრული)

დებულ სახელს. ომამდელი ხუთწლედების მანძილზე მისი საწარმოო სიმძლავრე 77-ჯერ გადიდდა. უკანასკნელ ომამდელ წელს მარტო ამ ქარხანამ იმდენივე პროდუქცია გამოუშვა, რამდენსაც 1913 წელს მთელი მოსკოვის მრეწველობა უშვებდა. დღეს სტალინის სახელობის ქარხანა აგებს „ზის-110" მარკის პირველხარისხოვან მსუბუქ მანქანებს, მძლავრ სატვირთო ავტომობილებს, კომფორტულ ავტობუსებს. მისი კოლექტივი მთელ საბჭოთა კავშირში განთქმულია თავისი ნოვატორობით, მაღალი ტექნიკური კულტურით.

ასევე ძირფესვიანად შეიცვალნენ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ქარხნები „სერპ ი მოლოტი", ვლადიმერ ილიას-ძის სახელობისა, „კრასნი პროლეტარი" და ბევრი სხვა. მძიმე ინდუსტრიასთან ერთად მოსკოვში იზრდებოდა და ვითარდებოდა მსუბუქი მრეწველობა. 1913 წელთან შედარებით, ერთიორად გადიდდა მოსკოვის საფეიქრო მრეწველობის პროდუქცია.

ომამდელ 1940 წელს მოსკოვის მრეწველობის პროდუქციის გამოშვება, 1913 წელთან შედარებით, გადიდდა 21-ჯერ, ხოლო ლითონდამმუშავებელი ქარხნებისა—96-ჯერ, ომის წინ მოსკოვი ერთიორად მეტ სამრეწველო პროდუქციას უშვებდა, ვიდრე მეფის რუსეთის მთელი მრეწველობა 1913 წელს. მოსკოვის მრეწველობამ მიიღო მტკიცე ენერგეტიკული ბაზა. „მოსენერგოს" სისტემაში გაერთიანებულ ახალ და რეკონსტრუირებულ ელექტროსადგურებს თავიანთი სიმძლავრით მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავიათ.

მაგრამ მარტო პირველხარისხოვანი საწარმოები როდი განვითარებულან მოსკოვში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე. გაიზარდნენ ადამიანები — მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, კონსტრუქტორები, წარმოების მეთაურები. ხოლო ადამიანები, როგორც თქვენ სთქვით, ყველაზე უფრო ძვირფასი და ყველაზე გადამწყვეტი კაპიტალია ყველა კაპიტალთა შორის, რომლებიც მსოფლიოს გააჩნია.

მოსკოველი მუშები ჩვენი ქვეყნის გმირული მუშათა კლასის პირველ რიგებში იყვნენ და არიან. პირველ შაბათობათა მონაწილეების დიადი თაოსნობა ნაპერწკალი იყო, რომელიც შემდეგ საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრების მძლავრ კოცონად აენთო. პირველი სტალინური ხუთწლედის დაუვიწყარ ხანაში მოსკოვის მოწინავე საწარმოების — კუიბიშევის სახელობის ელექტროქარხნის, ქარხანა „მოსელექტრიკის", „კაუჩუკის" კოლექტივებმა მთელს ჩვენს ქვეყანას მაგალითი მისცეს და ხუთწლიანი გეგმა ორნახევარ წელს შეასრულეს.

მოსკოვის მრეწველობის რაოდენობრივი ზრდის მხარდამხარ სწარმოებდა მისი ხარისხობრივი ზრდა: მშენებლობის პათოსს ავსებდა ახალი ტექნიკის ათვისების პათოსი, განუწყვეტლივ იზრდებოდა მოსკოვის ქარხნებისა და ფაბრიკების ტექნიკური დონე.

მოსკოვის მრეწველობა ასრულებდა პარტიის ნებას და დახმარებას უწევდა ჩვენი ქვეყნის ახალ ინდუსტრიულ რაიონებს კადრებით, ტექნიკით, მოწინავე გამოცდილებით.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებამ გამოიწვია მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის უმაღლესი აყვავება. თუ წინათ, რევოლუციამდე, ცოდნა და კულტურა მშრომელებისათვის შვიდი ბეჭდით დალუქული წიგნი იყო, ამჟამად ისინი ხალხთა უაღრესად ფართო მასების კუთვნილება გახდნენ.

ამჟამად მოსკოვის სკოლებში სწავლობს ექვსასი ათასზე მეტი ბავშვი. მხოლოდ ომამდელი ხუთწლედების განმავლობაში აგებულია 400-ზე მეტი დიდი სასკოლო შენობა.

მოსკოვი უმაღლეს სასწავლებელთა ქალაქია. რევოლუციამდელ დროსთან შედარებით, სტუდენტთა რაოდენობა ერთისამად გადიდდა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში დედაქალაქში შექმნილია ასობით სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, ლაბორატორიები, საკონსტრუქტორო ბიუროები. აქ მუშაობს საბჭოთა მეცნიერების შტაბი—სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია და მისი მრავალი ინსტიტუტი. შექმნილია მთელი რიგი დარგობრივი აკადემიები, რომლებიც ცოდნის სხვადასხვა დარგის მეცნიერებსა და სპეციალისტებს აერთიანებენ. დედაქალაქის სამეცნიერო დაწესებულებათა ათასობით მუშაკი ნაყოფიერად შრომობს თქვენს მიერ საბჭოთა მეცნიერების წინაშე დასახული ამოცანების გადასაჭრელად: უახლოეს დროში დავეწიოთ და გადავაჭარბოთ საზღვარგარეთული მეცნიერების მიღწევებს.

ბიბლიოთეკების ფართო ქსელი, რომელთაც აქვთ 64 მილიონი ტომი წიგნის ფონდი; მუზეუმები, სადაც მოგროვებულია კულტურის, თეატრების უდიდესი საგანძური, რაც საბჭოთა ხელოვნების სიამაყეს შეადგენს; მრავალი კლუბი, კულტურის სახლი, დიდებული სტადიონები და პარკები—ასეთია სოციალისტური მოსკოვის კულტურული ფასეულობანი.

დედაქალაქის მშრომელები დიდი კმაყოფილებით აჯამებენ მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის განხორციელების პირველ შედეგებს, გენერალური გეგმისა, რომელიც ისტორიაში შევიდა სტალინური გეგმის სახელით და მოსკოვის პარტიული ორგანიზაციისა და მოსკოვის საბჭოსათვის მოქმედების საბრძოლო პროგრამა გახდა.

რევოლუციამდელი მოსკოვი შენდებოდა სტიქიურად, უგეგმოდ, ქაოტიურად. მოსკოვის ქალაქის თვითმმართველობაში ისხდნენ 63 კაპიტალისტი, 32 ბითუმად მოვაჭრე, 24 სახლთმფლობელი. რაზე შეეძლოთ ფიქრი ასეთ „ქალაქის მამებს"? ცხადია, რომ არა დედაქალაქის კეთილმოწყობაზე, არა მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. რაც შეიძლება მაგრად გაეტენათ თავიანთი ჯიბე, რაც კი შეიძლება მეტი შეეძინათ ხალხის გაჭირვებით,—აი მოსკოვის თვითმმართველობის „ქალაქის მამების" მთელი მზრუნველობა.

ოქტომბრის რევოლუციის მოხდენისთანავე საქალაქო მეურნეობა მშრომელთა სამსახურში იქნა ჩაყენებული. ნახევარ მილიონზე მეტი მუშა სარდაფებიდან და ქოხმახებიდან შესახლებულ იქნა კეთილმოწყობილ ბინებში, ბურჟუათა სახლებსა და ვილებში.

მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა, თქვენი წინადადებით და თქვენი ხელმძღვანელობით შექმნილი, არის მშრომელთა კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის, თქვენი, ამხანაგო სტალინ, დაუღალავი მზრუნველობის განხორციელება. ეს ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასი და ღირებულია, იმიტომ რომ თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, ჩვენი მოსკოვის საბჭოს უცვლელი დეპუტატი ბრძანდებით.

ძველი მოსკოვი წყლის ნაკლებობით იტანჯებოდა, თქვენი მითითებით აგებულ იქნა არხი, რომელიც მცირეწყლიან მდინარე მოსკოვს დიდ რუსულ მდინარე ვოლგასთან აერთებს. ასე გადაიჭრა ქალაქის წყლით მომარაგების პრობლემა, ასე შეიქმნა წყლის გზა, რომელიც დედაქალაქს სამ ზღვასთან აერთებს.

ძველი მოსკოვი ჩამორჩენილი ტრანსპორტის ქალაქი იყო. თქვენი მითითებით შეიქმნა ახალი სახის საქალაქო ტრანსპორტი — ავტობუსები და ტროლეიბუსები, უდიდესი ტაქსმოტორთა პარკები, ელექტროფიცირებულ იქნა გარეუბნების რკინიგზების მეტი ნაწილი. მაგრამ ყველაზე შესანიშნავი ნაგებობა, რომლის ბადალიც მსოფლიოს არცერთ ქალაქში არ მოიპოვება, არის თქვენი თაოსნობით შექმნილი მოსკოვის მეტროპოლიტენი.

მეტროს მთელი მოსკოვი აგებდა. და მოსკოველთა ამ თავდადებულმა შრომამ, რომელმაც, თქვენი წინადადებით, საბჭოთა მთავრობის მადლობა დაიმსახურა, მთლიანად გაამართლა თავისი თავი. მოსკოვის მეტროპოლიტენმა თავისი არსებობის წლებში 4 მილიარდზე მეტი მგზავრი გადაიყვანა, ხოლო ომის დროს საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა ასიათასობით ქალის, მოხუცისა და ბავშვისათვის.

მოსკოვის რეკონსტრუქციის სტალინური გეგმის განხორციელებამ შესცვალა დედაქალაქის სახე, მთელი მისი შესახედაობა.

ძნელი საცნობია ახლა ძველი ოხოტნი რიადი, ტვერის, მეშჩანსკის, კალუგის და მოსკოვის ბევრი სხვა ქუჩა. აქ აიგო მშვენიერი მრავალსართულიანი სახლები. სიმონოვკის, დოროგომილოვის, ხამოვნიკების უშენებსა და მიყრუებულ გარეუბნებში გაშენდნენ კეთილმოწყობილი დაბები. ომამდელი ხუთწლედების მანძილზე 6 მილიონი კვადრატული მეტრი ფართობით გადიდდა დედაქალაქის საცხოვრებელი ფონდი, —მშრომელებისათვის საბინაო მშენებლობის ასეთი გაქანება არ ახსოვდა და არ ახსოვს არცერთ ქვეყანას, არცერთ ქალაქს მსოფლიოში! დიდებული ხიდები ამშვენებენ ქალაქს. მდინარე მოსკოვისა და იაუზის ნაპირები ორმოცდაათ კილომეტრზე მეტ მანძილზე შემოსილია გრანიტით და ბეტონით.

ყოველივე ამაში ჩვენ, მოსკოველები, ვხედავთ თქვენს გულთბილ, მამობრივ მზრუნველობას ჩვენი სიცოცხლისა და ყოფა-ცხოვრებისათვის. მხოლოდ ჩვენს სამშობლოს ძალუძს ასეთი გრანდიოზული გეგმის განხორციელება. ქალაქის ყოველგვარ გარდაქმნაში სჩანს საბჭოთა წყობილების უპირატესობანი, ჩვენი გეგმიანი მეურნეობის ძლიერება, თავისუფალი სოციალისტური შრომის დიადი შემოქმედი ძალა.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ვიგონებთ რა დღეს დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებს, მხურვალე მადლიერების გრძნობას გიძღვნით თქვენ, ჩვენი უმაღლესი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, ჩვენი ძვირფასი სამშობლოს მხსნელს.

თქვენი ისტორიული სიტყვა 1941 წლის 3 ივლისს ჩვენთვის ომის წლებში იყო სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლის პროგრამა. თქვენი მითითებებით შთაგონებულმა მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციამ დედაქალაქის ყველა მშრომელი დარაზმა ჩვენი დიადი სამართლიანი საქმის დასაცავად.

ასიათასობით მოსკოველი შევიდა საბჭოთა არმიის რიგებში ომის პირველსავე დღეებში. დედაქალაქის ასოცი ათასზე მეტი მშრომელი თავისი ნებით შევიდა სახალხო ლაშქრის დივიზიებსა და გამანადგურებელ ბატალიონებში, პარტიზანულ რაზმებში. როგორც ყოველთვის, წინ იყვნენ კომუნისტები — ჩვენი სახელოვანი ლენინ-სტალინის პარტიის შვილები. ომის მარტო პირველი ხუთი თვის განმავლობაში ფრონტზე წავიდა 100 ათასზე მეტი მოსკოველი კომუნისტი და 260 ათასი კომკავშირელი. ასიათასობით მშრომელი გახდა ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის მებრძოლი, რომლებიც მშობლიურ ქალაქს საჰაერო ავიაზაკებისაგან იცავდნენ. სწორედ ისინი, უბრალო ადამიანები, დედაქალაქის მოქალაქეები—მუშები, მოსამსახურეები, მოსწავლეები, ინტელიგენცია—დღისით და ღამით იდგნენ სახურავებზე, აქრობდნენ ცეცხლგამჩენ ბომბებს, პირველ დახმარებას უწევდნენ დაზარალებულთ, ხანძრებისაგან იფარავდნენ საზოგადოებრივ ქონებას.

თქვენი მოწოდებით, ამხანაგო სტალინ, ხუთასიათასი ქალი, ჭაბუკი და ქალიშვილი—მოსკოვის მცხოვრებნი — აგებდა თავდაცვის ზღუდეებს დედაქალაქის შორეულ და ახლო მისადგომებზე. სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს ამ პატრიოტების თავდადებულ შრომას, რომლებმაც ჩვენი მშობლიური მოსკოვი მრისხანე და მიუვალ სიმაგრედ გადააქციეს!

მოსკოვის საწარმოთა საამქროებში გაჩაღებული იყო დაძაბული შრომა ფრონტისათვის, გამარჯვებისათვის. მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით დედაქალაქის მრეწველობა სწრაფად გარდაიქმნა სამხედრო ყაიდაზე. ქარხანა-გიგანტებით დაწყებული და მცირე სახელოსნოებით დამთავრებული,—ყველგან სჭედდნენ იარაღს მოსკოველი მუშები ჩვენი მამაცი მეომრებისათვის. მთელი დღე-ღამეობით არ მიდიოდნენ ადამიანები საამქროებიდან, არ იცოდნენ თუ რა არის დაღლა, არ ახსოვდათ დასვენება. საჰაერო განგაშის საათებში, მტრის საჰაერო თავდასხმების დროსაც კი მუშაობდნენ და არ სტოვებდნენ თავიანთ პოსტებს — აშენებდნენ და არემონტებდნენ საბრძოლო მანქანებს, ახარატებდნენ ყუმბარებს, აწყობდნენ ავტომატებსა და ნაღმსატყორცნებს, ამზადებდნენ გრანატებს, ჰკერავდნენ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს სამშობლოს დამცველებისათვის. თვითეულმა მუშამ იცოდა: ფრონტი გადის აქ, საამქროში, დაზგასთან; რამდენადაც დღეს მეტია გაკეთებული ფრონტისათვის, იმდენადვე უფრო ახლოა გამარჯვება!

ზურგის თავდადებულმა დახმარებამ გაადიდა მებრძოლთა ძალები და სიმტკიცე. რუსეთი დიდია, ხოლო უკანდახევა კი არსად შეიძლება: უკან მოსკოვია! ასე ამბობდნენ დედაქალაქის დამცველები და ფოლადის კედლივით იდგნენ, იდგნენ სიკვდილამდე!

გერმანელი ფაშისტები ვარაუდობდნენ მოსკოვის ელვისებური დაპყრობით დაემთავრებინათ ომი. მათ მოსკოვს მოაყარეს თავიანთი ყველაზე რჩეული ჯარები. გერმანიის არმიის მეორე ეშელონში უკვე მზად იყვნენ სს-ელთა ნაწილები და ყოველგვარი „ზონდერკომანდები", რათა დედაქალაქის მოსახლეობისათვის ანგარიში გაესწორებინათ. მაგრამ მოსკოვმა ჩაშალა მტრის ბოროტი განზრახვა. მოსკოვმა გაუძლო და გაიმარჯვა. დედაქალაქის მისადგომებზე სამარე ჰპოვა 300 ათასმა ჰიტლერელმა. მოსკოვის ახლოს თოვლში გასრესილ და გაქარწყლებულ იქნა მითი გერმანიის არმიის „უძლეველობის" შესახებ!

მრისხანე საფრთხის დღეებში, რაც დედაქალაქს ემუქრებოდა, მოსკოვი გრძნობდა მთელი ჩვენი ქვეყნის დახმარებასა და სიყვარულს. მოსკოვის მისადგომებში მოსკოვის შვილების მხარდამხარ იბრძოდნენ უკრაინელები, ბელორუსები, ყაზახები, ქართველები — დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა შვილები.

საბჭოთა არმიის მებრძოლებსა და ოფიცრებს, მოსკოვის მოსახლეობას აღაფრთოვანებდა იმის შეგნება, რომ თქვენ, ამხანაგო სტალინ, პირადად ხელმძღვანელობდით ჩვენი სახელოვანი დედაქალაქისათვის ბრძოლას. ხალხის ხსოვნაში სამარადისოდ დარჩება თქვენს მიერ ხელმოწერილი დადგენილება თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტისა მოსკოვის დაცვის შესახებ, თქვენი მოხსენება 1941 წლის 6 ნოემბერს მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე, თქვენი სიტყვა წითელ მოედანზე საბჭოთა ჯარების ისტორიულ პარადზე 1941 წლის 7 ნოემბერს.

— სტალინი ჩვენთან არის! ხოლო სადაც სტალინია, იქ გამარჯვებაა! ამბობდნენ მოსკოველები, ამბობდა ყველა საბჭოთა ადამიანი. ეს გრძნობა დაუფლებოდა მათს შეგნებას, უნერგავდა მამაცობასა და გამარჯვების ნებას.

როცა გერმანელმა ჯალათებმა ჰკითხეს ნორჩ გმირს, ჩვენს მამაც მოსკოველ პარტიზანს ზოია კოსმოდემიანსკაიას — სტალინი სად არისო — მან ამაყად მიუგო ის, რაც იცოდა და რასაც გრძნობდა ყველა საბჭოთა ადამიანი:

— სტალინი პოსტზეა!

მაშ მიიღეთ ჩვენი დიდი მადლობა საბჭოთა სახელმწიფოს ხსნისათვის, ჩვენი დედაქალაქის ხსნისათვის!

დედაქალაქის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის მედლით „მოსკოვის დაცვისათვის" დაჯილდოებულია მილიონზე მეტი კაცი. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ პირველი მედალი გადმოგეცათ თქვენ, მოსკოვთან ისტორიული გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს.

ომის მსვლელობაში იწრთობოდა, მტკიცდებოდა, თავის სამხედრო ხელოვნებას სრულჰყოფდა გმირი საბჭოთა არმია. მის რიგებში მამაცურად იბრძოდნენ მოსკოვის ვაჟიშვილები და ქალიშვილები. 500 მოსკოველი ღირსი გახდა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდებისა, ათიათასობით ადამიანი—საბრძოლო ორდენებით დაჯილდოებისა.

მოსკოვი იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ფრონტთან უშუალოდ მდებარე საბჭოთა არმიის მძლავრი არსენალი. მოსკოვის ქარხნებში ჩაისახა და ფართო გამოყენება ჰპოვა წარმოების მოწინავე ორგანიზაციამ — ნაკადურმა მეთოდმა. ამის შედეგად რამდენჯერმე გადიდდა შრომის ნაყოფიერება, გაიზარდა იარაღის, საომარი მასალისა და საჭურვლის გამოშვება ფრონტისათვის. მოსკოვის მუშები გახდნენ ფრონტული ბრიგადების შექმნის, პროფესიათა შეთავსების, მრავალი დაზგის მომსახურების ინიციატორები. მოსკოვის ათობით ქარხანა და ფაბრიკა, ათიათასობით მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი და მოსამსახურე თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებით. დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის ერთ-ნახევარ მილიონამდე მშრომელი ღირსი გახდა მედლისა „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

ჩვენ გვსურს განსაკუთრებით აღვნიშნოთ მოსკოველი ქალებისა და ახალგაზრდობის გმირული შრომა დიდი სამამულო ომის დღეებში. მათ საწარმოებში შესცვალეს ფრონტზე წასული ქმრები, მამები და ძმები. მათი ხელით იქმნებოდა საომარი მასალა, შენდებოდა თავდაცვითი ნაგებობანი, ხოლო სათბობის მწვავე ნაკლებობის დღეებში მზადდებოდა მილიონობით კუბმეტრი შეშა.

მოსკოველებმა გულითადი მზრუნველობითა და ყურადღებით შემოსეს დაჭრილი მეომრები და ფრონტელთა ოჯახები. მოსკოველთა პატრიოტიზმის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინება იყო დონორთა ფართო მოძრაობა. მათ ნახევარ მილიონამდე ლიტრი საკუთარი სისხლი გაიღეს საბჭოთა არმიის დაჭრილ ჯარისკაცთა და ოფიცერთა გადასარჩენად.

გერმანელმა დამპყრობლებმა უდიდესი ზარალი მიაყენეს მოსკოვის ოლქის მეურნეობას. მათ მიერ მოყენებული ზარალის საერთო თანხა 30 მილიარდამდე მანეთს შეადგენს. მოსკოვის ოლქის ფარგლებიდან ოკუპანტთა განდევნის შემდეგ დედაქალაქის მშრომელებმა დიდი მუშაობა გასწიეს დანგრეული ქარხნების, შახტების, სოფლის მეურნეობის, ბინებისა და კულტურის კერების აღდგენის საქმეში. დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის ქალაქების მუშებმა შეფობის წესით ათასობით სახლი ააგეს კოლმეურნეებისათვის. ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე გერმანელების მიერ გადამწვარი და დანგრეული ოლქის სოფლების აღდგენა ძირითადად დამთავრებული იყო.

ჩვენ, მოსკოველებს, შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ, რომ მტერზე გამარჯვების მოპოვების საერთო სახალხო საქმეში არის ჩვენი წვლილიც, ჩვენი შრომის, ჩვენი ღონისძიებების ნაწილიც. ომის პირველი საათიდან იმ ღირსშესანიშნავ წუთამდე, როდესაც საბჭოთა კავშირის გმირმა მოსკოველი სამსონოვის ქვეგანაყოფის მეომრებმა გერმანიის რაიხსტაგის შენობაზე საბჭოთა დროშა აათრიალეს, და იმ მომენტამდე, როცა იმპერიალისტურმა იაპონიამ კაპიტულაცია გამოაცხადა, — ჩვენ ერთი გრძნობითა და ერთი ნებით ვცხოვრობდით: ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი საძულველი მტრის განადგურებისათვის!

ძვირფასო ამხანაგო სტალინ! ამჟამად, როცა საბჭოთა ხალხი მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას დაუბრუნდა, ჩვენი ცხოვრებისა და ბრძოლის პროგრამა გახდა თქვენი ისტორიული სიტყვა თქვენი ამომრჩევლების წინაშე — ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წინაშე 1946 წლის 9 თებერვალს.

საბჭოთა ადამიანების გადაწყვეტილების უაღრესად მკაფიო დასტურს, გადაწყვეტილებისა — მალე მოიშუშონ ომით მოყენებული ჭრილობანი, წარმოადგენს საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება ახალი სტალინური ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ათასობით ახალი სტახანოველი, წარმოების ნოვატორი გაიზარდა მოსკოვის ქარხნებსა და ფაბრიკებში. ჩვენ არ გვაკმაყოფილებს საშუალო ციფრები, საშუალო მაჩვენებლები. მოწინავეთა მიღწევებზე დაყრდნობით მიზნად ვისახავთ მივაღწიოთ განუხრელ საერთო აღმავლობას. პატრიოტული თაოსნობა მოსკოველი მუშის ვასილ მატროსოვისა, რომელმაც წამოაყენა და განახორციელა შრომის სტახანოვური მეთოდების გავრცელების საერთო საამქრო გეგმა, მოსკოველი ოსტატის ნიკოლოზ როსიისკის ინიციატივა, რომელმაც მთელი თავისი უბანი სტახანოვური გახადა,—ფართოდ გავრცელდა მთელ ჩვენს ქვეყანაში. ისინი მკაფიოდ ახასიათებენ ჩვენი მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენციის გაზრდილ სოციალისტურ შეგნებულებას, ხალხის ინტერესებისათვის, ჩვენი მშობლიური საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებისათვის ზრუნვას.

მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების თავდადებული შრომის შედეგად, მოსკოვის მრეწველობამ ახალი ხუთწლედის პირველი წლის გეგმა ვადამდე—1946 წლის 20 დეკემბრისათვის შეასრულა.

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს XX სესიამ მიიღო მოსკოვის საქალაქო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა. მას საფუძვლად დაედო დედაქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შემდგომი განხორციელება. საქალაქო მეურნეობის ასიათასობით მუშაკი, მოსკოვის მთელი მოსახლეობის დახმარებით, აქტიურად იბრძვის ამ გრანდიოზული პროგრამის უსწრაფესად შესრულებისათვის. ხუთი წლის განმავლობაში მოსკოვში უნდა აშენდეს ასობით ახალი სახლი, უნდა გაჩაღდეს პირველი რვა მრავალსართულიანი შენობის აგება, გაფართოვდეს წყალსადენის ქსელი, გადიდდეს სკოლების, კინოების, თეატრებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რაოდენობა.

ომის თვით უმძიმეს პერიოდშიც კი, თქვენი მუდმივი ყურადღების მეოხებით, მთავრობის დახმარების მეოხებით, არ შეწყვეტილა მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობა. გაყვანილ იქნა ახალი გზები, აგებულ იქნა მეტროს შვიდი სადგური. შორეული სამრეწველო რაიონები — სტალინისა და პროლეტარსკის რაიონები — შეერთებულია ქალაქის ცენტრთან. 1943 წლის შემოდგომაზე თქვენი წინადადებით დაიწყო მეტროპოლიტენის მეოთხე რიგის — დიდი რგოლის მშენებლობა. სამუშაოები აქ გაჩაღებულია მთელი ძალით და 1950 წელს დამთავრდება მათი მნიშვნელოვანი ნაწილი.

ყველა მოსკოველმა იცის, რომ თქვენივე თაოსნობით ჯერ კიდევ ომის დღეებში დაიწყო სარატოვ-მოსკოვის გაზსადენის აგება. ამ მშენებლობის დამთავრება დიდი წვლილი გახდა დედაქალაქის მშრომელთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისა და საბჭოთა მრეწველობის ახალი დარგის — გაზის ინდუსტრიის განვითარების საქმეში. გაზსადენის ამუშავებამ შესაძლებლობა მოგვცა უკვე გასულ წელს მოგვეხდინა 16 ათასი ბინის გაზიფიკაცია. წელს გაზიფიცირებულ იქნება კიდევ 50 ათასი ბინა. ხოლო სულ ხუთი წლის განმავლობაში გაზიფიცირებულ იქნება 200 ათასი ბინა. 1950 წელს მოსკოვის მოსახლეობის სამოცდაათი პროცენტი ისარგებლებს გაზით თავისი საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის.

დედაქალაქის მშრომელებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავის და მოსკოვის 800 წლისთავისათვის მზადების დროს სერიოზული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს.

ბედნიერი ვართ მოგახსენოთ, ამხანაგო სტალინ, რომ ეს ვალდებულებანი სრულდება ისე, როგორც საბჭოთა პატრიოტების წესსა და ტრადიციებს შეეფერება. 15 აგვისტოსათვის მოსკოვის მრეწველობამ მთლიანად შეასრულა 8 თვის საწარმოო პროგრამა, ხოლო ბევრმა საწარმომ—9 თვის საწარმოო პროგრამა.

დედაქალაქის იუბილეს მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის ფრონტზე ახალი მიღწევებით შეხვდა მოსკოვის ინტელიგენცია. აგებულია მთელი რიგი ახალი მანქანები, ვადამდე დამთავრებულია ბევრი სამეცნიერო მუშაობა, შექმნილია ხელოვნების ახალი ნაწარმოებნი.

ჩვენ გვესმის, რომ ყოველივე ეს მხოლოდ ნაწილია იმ დიდი სამუშაოსი, რომელიც შემდგომში უნდა შევასრულოთ, ვიცით, თუ რა საპატიო ადგილი ეკუთვნის მოსკოვს ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებაში. მაშ, ნება გვიბოძეთ, იოსებ ბესარიონის-ძევ, დაგარწმუნოთ, რომ დედაქალაქის მშრომელები ღირსეულად მოიხდიან თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე, მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე.

მოსკოვის მრეწველობის საწარმოთა და ტრანსპორტის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები არ დაზოგავენ ძალებსა და შრომას, რათა თვითეულმა საწარმომ, თვითეულმა საამქრომ და ბრიგადამ, თვითეულმა მუშამ ვადამდე შეასრულოს ახალი ხუთწლიანი გეგმის დავალებანი. დღითიდღე გაძლიერდება წარმოების ტემპი, განუხრელად გადიდდება შრომის ნაყოფიერება, ავითვისებთ ახალ ტექნიკას, დავნერგავთ მოწინავე ტექნოლოგიას, გავაუმჯობესებთ წარმოების ორგანიზაციას, ავამაღლებთ პროდუქციის ხარისხს.

მოსკოვის მეცნიერული და ტექნიკური ინტელიგენცია მტკიცედ იბრძოლებს საბჭოთა მეცნიერების პირველობისათვის მთელ მსოფლიოში, ტექნიკის განუწყვეტელი და სწრაფი ზრდისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი შეჰქმნიან დიადი სტალინური ეპოქისა და გმირი საბჭოთა ხალხის შესაფერის ნაწარმოებთ.

დედაქალაქის მთელი ინტელიგენცია პირობას გაძლევს თქვენ, ამხანაგო სტალინ, მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება მოახმაროს ჩვენი ხალხისა და ახალგაზრდობის თავისი სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით, საბჭოთა ეროვნული სიამაყის სულისკვეთებით, ლენინ-სტალინის დიადი და ძლევამოსილი საქმის უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდას. საქალაქო მეურნეობის მუშაკები დედაქალაქის მშრომელებთან ერთად ყოველივეს გააკეთებენ იმისათვის, რათა ფართოდ გააჩაღონ მუშაობა მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შემდგომი განხორციელებისათვის, ქალაქის კეთილმოწყობისათვის და მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებისათვის.

დაე, ჩვენმა შრომამ მოსკოვი გახადოს უფრო მშვენიერი, როგორც მძლავრი საბჭოთა კავშირის დიდ დედაქალაქს შეეფერება.

ჩვენი მშობლიური ქალაქის მაგალითით თვალნათლად ვხედავთ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ფასდაუდებელ უპირატესობებს, საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილებისა, რომელიც აქტიური პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეობისათვის რაზმავს ხალხის უფართოეს მასებს. მოსკოვის მშრომელები, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მთლიანად სარგებლობენ იმ დიდი უფლებებით, რომლებსაც ჩვენს ხალხს ანიჭებს მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუცია — სტალინური კონსტიტუცია. ასიათასობით მოსკოველი აქტიურად მონაწილეობს ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი დედაქალაქის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვასა და გადაჭრაში. მშრომელთა დეპუტატების მოსკოვისა და რაიონული საბჭოების, პროფესიული კავშირების, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობაში. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ ყოველ ამოცანას მოსკოველები იღებენ როგორც საარსებო და მშობლიურ საქმეს.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

თქვენს სახელთან დაკავშირებულია ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ყველა ისტორიული გამარჯვება, საბჭოთა ადამიანების გმირობა ბრძოლებსა და შრომაში, მათი სახელოვანი საქმეები, რომლებიც შესრულებულია ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და აყვავებისათვის.

ჩვენი ბედნიერებაა, რომ ომის ძნელ წლებში ჩვენს არმიასა და ჩვენს ხალხს მიუძღოდით თქვენ, საბჭოთა კავშირის ბრძენი ბელადი. ჩვენი ბედნიერებაა, რომ ომისშემდგომ წლებში ჩვენი ქვეყნის ახალი აყვავებისაკენ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ მიგვიძღვით თქვენ, ჩვენო გენიალურო, ნაცადო მესაჭევ!

მთელი სულით და გულით გისურვებთ, ჩვენო საყვარელო ბელადო, ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო და მშობლიურო მამავ, მრავალი წლის ჯანმრთელობას და ნაყოფიერ შრომას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ და სახარულოდ!

დღეგრძელობდეს და ჰყვაოდეს ჩვენი მძლავრი სამშობლო—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და მისი სახელოვანი დედაქალაქი მოსკოვი!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას — ლენინ-სტალინის სახელოვან პარტიას, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება საბჭოთა ხალხის დიდ ბელადსა და მასწავლებელს, მშობლიურ და საყვარელ სტალინს!

წერილი განხილული და მიღებულია მოსკოვის 3.665.850 მშრომელის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვის 800 წლისთავის შესახებ

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის გ. მ. პოპოვის მოხსენება

მოსკოვის 800 წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილ მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად 1947 წლის 6 სექტემბერს

ამხანაგებო!

ხვალ, 7 სექტემბერს, საბჭოთა ხალხი აღნიშნავს ღირსშესანიშნავ თარიღს ჩვენი სამშობლოს ისტორიაში — მოსკოვის — დიადი საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქის—800 წლისთავს, საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელიც შექმნეს ლენინმა და სტალინმა. **(ტაში).**

მოსკოვის 800 წლის იუბილე შესანიშნავი მოვლენაა საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის, მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანებისათვის.

მოსკოვის ისტორია განუყოფელია რუსი ხალხის გმირული ისტორიისაგან. რუსეთის ეროვნული სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების ზრდასთან ერთად იზრდებოდა მოსკოვის, როგორც ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს გულის მნიშვნელობაც.

მოსკოვის ამაღლების ისტორიაში ყველაზე დიდებული ფურცელი გადაიშალა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, როცა ჩვენი ქვეყნის მუშებმა და გლეხებმა დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით საბოლოოდ დაამხეს ბურჟუაზიისა და მემამულეების ბატონობა.

მალევე ამ მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების შემდეგ რუსი ხალხის ძველი დედაქალაქი მოსკოვი მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა. საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით უმაგალითო მოკლე ისტორიულ ვადაში გადააქცია ჩვენი ქვეყანა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, ხოლო მოსკოვი—გამარჯვებული სოციალიზმის ურღვევ ციხესიმაგრედ.

მოსკოვის—საბჭოთა კავშირის დედაქალაქის—გარშემო ჩვენი ქვეყნის ხალხები შეკავშირდნენ ერთიან ძმურ ოჯახად.

მოსკოვი წარმოადგენს ახალი სამყაროს ცენტრს, გზის მანათობელ ვარსკვლავს, რომელიც მთელ პროგრესულ კაცობრიობას უჩვენებს გზას სოციალიზმისაკენ.

მოსკოვი განასახიერებს საბჭოთა კავშირის უდიდეს როლს საერთაშორისო ცხოვრებაში. იგი სიმბოლოა საბჭოთა სახელმწიფოს თანმიმდევრული პოლიტიკისა ნამდვილი დემოკრატიისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში, რეაქციის შავბნელი ძალებისა და ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოსკოვი სიმბოლოა ყოველივე მოწინავისა და პროგრესულისა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში.

მოსკოვის 800 წლისთავის დღესასწაული ჩვენს ქვეყანაში გადაიქცა საბჭოთა პატრიოტიზმის მძლავრ დემონსტრაციად. თავიანთი დედაქალაქისადმი გულთბილი გრძნობებისა და სიყვარულის ერთ-ერთ გამოვლინებას, საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ურღვევი მეგობრობის გამოხატულებას წარმოადგენს მოსკოვში საიუბილეო ზეიმზე საბჭოთა ქვეყნის რესპუბლიკებისა და ქალაქების წარმომადგენელთა ჩამოსვლა.

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და მოსკოვის მთელი მოსახლეობის სახელით მხურვალედ მივესალმები ჩვენს ძვირფას სტუმრებს—საბჭოთა რესპუბლიკებისა და ქალაქების მიერ წარმოგზავნილთ. **(ტაში).**

მოსკოვის 800 წლისთავი უაღრესად ცხოველ გამოხმაურებას პოულობს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. ჩვენს დღესასწაულზე ჩამოვიდნენ დელეგაციები უცხოეთის სახელმწიფოთა 30 დედაქალაქიდან. ჩვენ დიდად ვაფასებთ ამას, როგორც საბჭოთა ხალხისადმი მეგობრული ყურადღების ნიშანს. ვსარგებლობ შემთხვევით, რათა მივესალმო უცხოეთის დედაქალაქების აქ დამსწრე წარმომადგენლებს. **(ტაში).**

ამხანაგებო! 800 წლის წინათ, 1147 წელს, იური დოლგორუკიმ დააარსა ქალაქი მოსკოვი, რომელმაც ესოდენ განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩვენი ხალხისა და მთელი კაცობრიობის ისტორიულ ბედიღბალში.

განვითარება მოსკოვისა, რომელიც რუსეთის ეროვნული სახელმწიფოს შემკრები გახდა, უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში მიმდინარეობდა. მოსკოვმა ფეხზე დააყენა რუსი ხალხი თათარ-მონღოლთა უღლის დასამხობად. XVII საუკუნის დამდეგს იგი დასაყრდენი იყო პოლონური ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბოროდინოს ბრძოლაში მოსკოვთან, გადამწვარ მოსკოვში დამარხულ იქნა ნაპოლეონის არმიის დიდება, ნაპოლეონისა, რომელმაც მსოფლიოს მპყრობელად წარმოიდგინა თავი.

მოსკოვმა უდიდესი წვლილი შეიტანა რუსეთისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. იგი ძველთაგანვე გამოდიოდა ჩვენი ქვეყნის იმ პროგრესული ძალების ავანგარდში, რომელნიც ფეოდალურ-ბატონყმურ ჩაგვრას ებრძოდნენ. მოსკოვს ეკუთვნის შესანიშნავი ფურცლები რუსეთის და საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში.

არალეგალური მუშაობის მძიმე პირობებში მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია ჩვენი პარტიის ერთ-ერთი ყველაზე შემჭიდროებული რაზმი იყო.

მოსკოვის პროლეტარიატმა და მისმა ავანგარდმა—ბოლშევიკებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს რუსეთის პირველ რევოლუციაში. მოსკოვის მუშების იანვრის გამოსვლებმა, ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ და განსაკუთრებით მათმა გმირულმა შეიარაღებულმა აჯანყებამ 1905 წლის დეკემბერში ბრძოლის ახალი ფორმებით გაამდიდრა რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა რევოლუციური მოძრაობა. პრესნის გააფთრებული ბრძოლების გმირთა დიდება მთელ მსოფლიოს მოედო.

მოსკოვის პროლეტარიატი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დღეებში პეტროგრადის მუშების მაგალითისამებრ იწვევდა აქტიურ ბრძოლას მონარქისტული რეჟიმის ლიკვიდაციისათვის.

დიდი ოქტომბრის ისტორიულ დღეებში მოსკოვის მშრომელებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ქუჩებში შეუპოვარი ბრძოლების შედეგად ჩააქრეს იუნკრებისა და თეთრგვარდიელების კონტრრევოლუციური ამბოხება და მოსკოვში დაამკვიდრეს საბჭოების ძალაუფლება.

პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამ იხსნა ჩვენი ქვეყანა დაღუპვისაგან, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კოლონიად გადაქცევისაგან. ამ გამარჯვებამ დასაწყისი მისცა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის რევოლუციური ბრძოლის ახალ ეტაპს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მოსკოვს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამშობლოს დაცვაში.

სამოქალაქო ომის წლებში მოსკოვი წარმოადგენდა სამხედრო-პოლიტიკურ შტაბს, საიდანაც ლენინი და სტალინი ხელმძღვანელობდნენ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვას შინაგანი კონტრრევოლუციისა და უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოსკოვის ისტორიის უბრწყინვალესი ფურცელია დიდი სამამულო ომის პერიოდი.

ომის პირველი დღეებიდანვე მოსკოვი სამშობლოს დასაცავად ხალხის მთელი ძალების დარაზმვის ცენტრი გახდა. ჩვენმა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა, აქედან, მოსკოვიდან, იმ საშინელი საფრთხის დღეებში, რომელიც ჩვენს სამშობლოს დაემუქრა, მოუწოდა საბჭოთა ხალხს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისაკენ, ჩაუნერგა მას სიმხნევე და გამარჯვების რწმენა. მოსკოვთან ჰიტლერელთა ურდოებმა პირველად იგემეს სასტიკი დარტყმა. მოსკოვის სახელოვანი დაცვა ოქროს ასოებითაა ჩაწერილი დიდი სამამულო ომის ისტორიაში.

საბჭოთა პატრიოტების შესანიშნავ საგმირო საქმეთა უკვდავი დიდებით არის მოსილი ისტორია მოსკოვის დაცვისა ფაშისტი დამპყრობლებისაგან.

ჩვენი დედაქალაქის დღესასწაულის დღეებში ჩვენ ვიგონებთ ყველა იმათ, ვინც თავისი სიცოცხლე შესწირა მოსკოვის დაცვას გერმანელი დამპყრობლებისაგან. სამარადისო დიდება მოსკოვთან დიდ ბრძოლაში დაღუპულ გმირებს.

მთელ ხალხთან ერთად მოსკოვის მშრომელები მთელ თავის ძალღონეს ახმარდნენ სამშობლოს დაცვას. ასეულ ათასობით მოსკოველი მამაცურად იბრძოდა საბჭოთა მეომრების რიგებში. ზურგში დარჩენილნი დაუღალავად სჭედდნენ იარაღს მტრების გასანადგურებლად.

მოსკოვიდან ხორციელდებოდა გენიალური სტალინური ხელმძღვანელობა გიგანტური ბრძოლებისადმი, რომლებიც დამთავრდა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებით კაცობრიობის უბოროტეს მტრებზე—გერმანიის ფაშიზმსა და იაპონიის იმპერიალიზმზე. აქ, მოსკოვში, წითელ მოედანზე, შესდგა ისტორიული პარადი გამარჯვებისა.

გამარჯვების დღესასწაულის დღეებში სალუტის შუქი ყოველ წელიწადს აცისკროვნებს მოსკოვის ცას. ეს შუქი მრისხანე გაფრთხილებაა ახალი ომის ყველა გამჩაღებლისათვის, მოაგონებს მათ იმათ ბედს, ვინც ხელჰყოფდა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

თავის 800 წლის იუბილეს მოსკოვი—სსრ კავშირის დედაქალაქი—აღნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოცდამეათე წელს. ძველი რუსეთის გადაქცევა საბჭოების სახელმწიფოდ განუყოფელია მოსკოვის გარდაქმნისაგან საბჭოთა დედაქალაქად.

1918 წლის 11 მარტს მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მეთაურობით. მოსკოვი, მისი ისტორიული კრემლი გახდა ის ადგილი, საიდანაც ლენინი და მისი ერთგული თანამებრძოლი და მეგობარი — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი ხელმძღვანელობდნენ ჩვენი ხალხის ბრძოლას, ჩვენი ხალხისა, რომელიც აშენებს ახალ მსოფლიოს და იცავს მას მტრების ყოველგვარი ხელყოფისაგან.

1922 წლის დეკემბერში საბჭოების პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე მიღებულ იქნა ისტორიული გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ. ამ დროიდან რუსეთის ფედერაციის დედაქალაქი — მოსკოვი —გახდა აგრეთვე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი კავშირის დედაქალაქი. მოსკოვის ძველ კრემლზე აღიმართა დროშა საკავშირო საბჭოთა სახელმწიფოს სახელმწიფოებრივი გერბით.

ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაიზარდა მოსკოვის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მნიშვნელობა ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში.

მოსკოვში მოთავსებულია და მუშაობს ბოლშევიკური პარტიის შტაბი — მისი ცენტრალური კომიტეტი. მოსკოვი საკავშირო მთავრობისა და რსფსრ მთავრობის რეზიდენციაა. აქ მიმდინარეობს უმნიშვნელოვანესი ყრილობები და კონფერენციები. მოსკოვიდან გამოვიდა და გამოდის სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი ქვეყნის საშინაო წყობასა და მის საერთაშორისო მდგომარეობას. უდიდესი მოვლენა იყო მიღება სტალინური კონსტიტუციისა, რომელმაც საკანონმდებლო წესით განამტკიცა სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების მსოფლიო-ისტორიული ფაქტი.

დიდი ლენინის კუბოსთან სტალინის მიერ წარმოთქმულმა ისტორიულმა ფიცმა უჩვენა საბჭოთა ხალხს გზა სოციალიზმისაკენ, გზა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ. არცერთ სხვა ქვეყანას არ მოუხდენია ისეთი ნახტომი წინ, როგორიც განახორციელა საბჭოთა კავშირმა, რომელიც მოკლე ვადაში გადაიქცა აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ ქვეყნად, ჩამორჩენილი ქვეყნიდან — მოწინავედ. განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობდა მოსკოვის ინდუსტრიული განვითარება.

ჩვენმა პარტიამ და მისმა მოწინავე რაზმმა—მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციამ, ამხანაგ სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმულმა, გაანადგურა ტროცკისტულ-ბუხარინული ხროვა, რომელიც ცდილობდა ჩაეშალა ინდუსტრიალიზაციის საქმე.

ომისწინა 1940 წელს მოსკოვის საწარმოთა საერთო პროდუქციამ 21-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს. და თუმცა სამრეწველო მშენებლობა ხუთწლედების მანძილზე მთელ ჩვენს უდიდეს ქვეყანაში სწარმოებდა, მოსკოვის მრეწველობის ხვედრითი წონა არათუ არ მცირდებოდა, არამედ განუხრელად იზრდებოდა. დიდმნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსკოვში, სადაც რევოლუციამდე მსუბუქი მრეწველობა სჭარბობდა, განსაკუთრებით განვითარდა მძიმე ინდუსტრია და, პირველ რიგში, მანქანათმშენებლობა. დიდი სამამულო ომის წინ მოსკოვის ლითონდამმუშავებელი ქარხნების პროდუქციამ თითქმის ასჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს. ამასთან ერთად მოსკოვში ვითარდებოდა მოხმარების საშუალებათა მწარმოებელი მრეწველობა.

მოსკოვის ინდუსტრიის სიმძლავრემ მკაფიოდ იჩინა თავი დიდი სამამულო ომის წლებში. მიუხედავად იმისა, რომ ომის პირველ თვეებში ევაკუირებულ იქნა მთელი რიგი უდიდესი საწარმოები, დედაქალაქში არ შეწყვეტილა საბჭოთა არმიისათვის საომარი მასალებისა და საჭურვლის გამოშვება. ქარხნების დაცარიელებულ საამქროებში სწრაფად დგებოდა ფეხზე და დღითიდღე ძლიერდებოდა წარმოება ფრონტის საჭიროებისათვის. მოსკოვის მრეწველობამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა არმიის უზრუნველყოფაში ყოველივე იმით, რაც საჭირო იყო გამარჯვებისათვის.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებამ საშუალება მისცა საბჭოთა ხალხს დაბრუნებოდა მშვიდობიან შრომას. მოსკოვის მშრომელებმა მთელ ჩვენს ხალხთან ერთად თავიანთი ძალღონე წარმართეს ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისაკენ.

მოსკოვის მრეწველობამ წარმატებით დაამთავრა 1946 წლის — ახალი ხუთწლედის პირველი წლის გეგმა.

მოსკოვის მშრომელები უდიდესი ენთუზიაზმით მონაწილეობენ სოციალისტურ შეჯიბრებაში 1947 წლის გეგმის ვადამდე — ოქტომბრის 30-ე წლისთავისათვის შესასრულებლად. მოსკოვის 800 წლის იუბილეს დღისათვის დედაქალაქის სამრეწველო საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს ცხრა თვის გეგმა.

მოსკოვის ქარხნებში მრავლდება სტახანოველთა, წარმოების ნოვატორთა რიგები.

წარმატებით მუშაობენ მოსკოვის ოლქის საწარმოები, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს რვა თვის გეგმა. მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც წელს კარგი მოსავალი მოიყვანეს, გაჩაღეს ბრძოლა სახელმწიფოსათვის პურის ვადამდე ჩასაბარებლად. მოსკოვის 800 წლისთავის აღსანიშნავად დაარსებულ „საპატიო დაფაზე" შეტანილია 1.500-ზე მეტი კოლმეურნეობა, რომლებმაც შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი ჩვენი ქვეყნის წინაშე.

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელები მთელ ჩვენს ხალხთან ერთად დედაქალაქის სახელოვან იუბილეს ეგებებიან ურყევად დარწმუნებულნი თავიანთ ძალებში, აღფრთოვანებულნი იმ მისწრაფებით, რომ ვადამდე შეასრულონ ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმა.

მოსკოვის არაჩვეულებრივად გაზრდილი მნიშვნელობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, დედაქალაქის სწრაფი ინდუსტრიული განვითარება, საქალაქო მშენებლობის სრულიად ახალი პრინციპები, რომლებიც მთლიანად მიმართულია მშრომელთა საჭიროებისა და მოთხოვნილების ყოველმხრივ დაკმაყოფილებისაკენ, — ეს ფაქტორები გახდა საფუძველი მოსკოვის საქალაქო მეურნეობაში და თვით მის სახეში მომხდარი დიადი ცვლილებებისა, როგორიც არასოდეს არ განუცდია ასეთ მოკლე ვადაში მსოფლიოს არცერთ ქალაქს.

მოსკოვში საბჭოთა ხელისუფლების პირველმავე ნაბიჯებმა გამოიწვია დიდი ცვლილებები მისი მოსახლეობის ცხოვრებაში. განაპირა უბნების ჯურღმულებიდან, სარდაფებიდან, ნახევარ მილიონზე მეტი მუშა გადაყვანილ იქნა იმ სახლებში, რომლებშიც წინათ ბურჟუაზია ცხოვრობდა.

ძველი, ბურჟუაზიულ-მემამულური ხელისუფლებისაგან მოსკოვის საბჭომ მემკვიდრეობით მიიღო სრულიად პრიმიტიული და მეტად დანგრეული საქალაქო მეურნეობა. ძლიერი შემოქმედებითი ძალა საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელიც მშრომელთა ფართო მასების ინიციატივასა და თვითმოქმედებას ეყრდნობა, გამოჩნდა დედაქალაქის საქალაქო მეურნეობის ნგრევის სწრაფი ლიკვიდაციით.

მოსკოვის საქალაქო მეურნეობაში მომხდარი ძირეული ცვლილებანი ემთხვევიან სტალინური ხუთწლედების პერიოდს. სწორედ ამ პერიოდში მთლიანად გამოყენებულ იქნა სახალხო მეურნეობის განვითარებაში გეგმიანი განვითარების მძლავრი საბჭოთა პრინციპი. დედაქალაქის რეკონსტრუქციის გრანდიოზულ სამუშაოთა განხორციელების წინაპირობა გახდა გადამწყვეტი წარმატებები, რომლებიც ხუთწლედების მანძილზე მიღწეულ იქნა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში. ჩვენ მოკლე ვადაში ასეთი მნიშვნელოვანი მიღწევები არ გვექნებოდა მოსკოვის რეკონსტრუქციაში, რომ საქალაქო მეურნეობა, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობა, სოციალისტურ საწყისებზე არ ყოფილიყო აგებული, რომ ჩვენში მოსპობილი არ ყოფილიყო მიწის კერძო საკუთრება, რომ ნაციონალიზებული არ ყოფილიყო ძირითადი საცხოვრებელი ფონდი და კომუნალური მეურნეობის საწარმოები.

1931 წლის ივნისში, ამხანაგ სტალინის წინადადებით, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შედგენის შესახებ.

შემდგომ წლებში გაჩაღდა მოსკოვის ორგანიზაციების მუშაობა გენერალური გეგმის შესადგენად. ამ სამუშაოს წარმატება უზრუნველყოფილი იყო იმით, რომ იგი წარიმართებოდა ამხანაგ სტალინის პირადი მითითებებით. სახალხო კომისართა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1935 წლის 10 ივლისს დაამტკიცეს ეს გეგმა, რომელიც თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ღრმა სტალინური ზრუნვით ადამიანისათვის, ჩვენი სახელოვანი დედაქალაქის სიდიადისათვის.

მოსკოვის 800 წლისთავის დღესასწაული ამასთან ერთად იმ შესანიშნავ წარმატებათა დათვალიერებაა, რომლებიც მიღწეულია ჩვენი მშობლიური ქალაქის რეკონსტრუქციაში. მოსკოვის რეკონსტრუქციის სტალინური გეგმის წარმატებით განხორციელებამ ისე შეუცვალა მას სახე, რომ ვეღარ იცნობთ. ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული ქუჩების ადგილას გადაიჭიმა განიერი მაგისტრალები, რომლების პირზეც აგებულია მრავალსართულიანი სახლები. აშენდა 6 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. რევოლუციამდელ დროს არსებული ჯურღმულების ადგილას აშენდა კარგად მოწყობილი საცხოვრებელი სახლების მასივები მოსკოვის მშრომელთათვის.

მშვენიერმა საზოგადოებრივმა შენობებმა — მინისტრთა საბჭოს სახლმა, სასტუმრო „მოსკოვმა", ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის ახალმა შენობამ და სხვებმა — დაამშვენეს დედაქალაქის ქუჩები. ფართოდ გაჩაღდა სკოლების, სამკურნალო დაწესებულებების, საბავშვო ბაღების, ბაგების, თეატრების, კულტურის სახლებისა და კლუბების მშენებლობა. თუ ამას დავუმატებთ ათეულ კილომეტრობით სანაპიროთა რეკონსტრუქციას, მილიონობით კვადრატულ მეტრი ქვაფენილების მოასფალტებას, ახალი ხიდების აგებას, — შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ იმ ჭეშმარიტად ბოლშევიკურ გაქანებაზე, რომლითაც დედაქალაქის რეკონსტრუქცია ხორციელდება.

მოსკოვის საქალაქო მეურნეობის ყველა დარგი უმაგალითოდ, უაღრესად გაუმჯობესდა და გადიდდა. ავიღოთ თუნდაც მოსკოვის წყალსადენი. მისი სიმძლავრე 1913 წელთან შედარებით ერთი-ათად გაიზარდა.

ხუთწლედების მანძილზე მოსკოვში გაჩნდა საქალაქო ტრანსპორტის ახალი თანამედროვე სახეები: ტროლეიბუსი, ავტობუსი, ტაქსი, აგებულია მეტროპოლიტენი — მსოფლიოში ყველაზე უკეთესი, ყველაზე კარგად მოწყობილი. მოსკოვ-ვოლგის არხმა მოსკოვი გადააქცია სამი ზღვის ნავსადგურად და შექმნა საფუძველი დედაქალაქის წყლით მომარაგების ძირფესვიანად გაუმჯობესებისათვის.

როგორ არ გვიკვირდეს ეს ზღაპრული ცვლილებები, როგორ არ ვიამაყოთ საბჭოთა ხელისუფლების მძლავრი შემოქმედებითი ძალით.

ომის წინ ყოველი მშრომელი მოსკოვში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, უკვე გრძნობდა იმ მძლავრი ეკონომიური აღმავლობის შედეგებს, რომელსაც ჩვენი სამშობლო განიცდიდა. დადგა მუშებისა და კოლმეურნე გლეხობის შეძლებული ცხოვრების დროება.

ომმა შეწყვიტა სსრ კავშირის ხალხთა მშვიდობიანი შრომა. მან შეაფერხა მოსკოვის რეკონსტრუქციის სამუშაოები. მაგრამ ომის დროს ყველაზე დიდმნიშვნელოვანი სამუშაოები მოსკოვში არ შეწყვეტილა. ამას ამტკიცებს ომის დროს მოსკოვის მეტროს მესამე რიგის ამუშავება.

ომისშემდგომ პერიოდში მოსკოვში, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოთა მრავალ დედაქალაქში, რომლებმაც გამანადგურებელი ომის მძიმე ტვირთი გამოსცადეს, მთელი სიგრძე-სიგანით დადგა ქალაქის მეურნეობის აღდგენის ამოცანები. საბჭოთა კავშირის ხუთწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად ჩვენ შევიმუშავეთ მოსკოვის საქალაქო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა.

ეს გეგმა ითვალისწინებს მოსკოვის რეკონსტრუქციის სამუშაოთა უდიდესი მასშტაბით განგრძობას. მაგრამ საქალაქო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიან გეგმასთან ერთად ჩვენ გვაქვს მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა, რომლის განხორციელებისთვისაც მრავალ წელს ვიმუშავებთ.

ჩვენ გადავჭრით საბინაო საკითხს მოსკოვში, სავსებით აღვადგენთ არსებულ საცხოვრებელ ფონდს, ავამაღლებთ მის კეთილმოწყობას, ავაგებთ ათასობით ახალ მრავალსართულიან სახლს, შევქმნით ახალ მშვენიერ მაგისტრალებს.

განუხრელად გაიზრდება დედაქალაქის ყველა სახის საქალაქო ტრანსპორტი. მრავალი წლის განმავლობაში განვავითარებთ ჩვენს სახელოვან მეტროპოლიტენს, მწყობრში ჩავაყენებთ ახალ-ახალ რადიუსებს.

დიდი სამუშაოები განხორციელდება დედაქალაქის კეთილმოწყობისა და გამწვანების დარგში.

ჩვენ დიდი ნაბიჯით გავწევთ წინ დედაქალაქის მშრომელთა ცხოვრების მატერიალურ - საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობების შემდგომი ამაღლების გზით და მივაღწევთ იმას, რომ მოსკოვის მოსახლეობის ცხოვრების პირობები წლითიწლობით გაუმჯობესდება.

ბევრი რამ იქიდან, რაც დავსახეთ, უკვე ხორციელდება.

მოსკოვის მშენებლები სძლევენ ომისშემდგომი დროის სიძნელეებს და აძლიერებენ მუშაობის ტემპებს. იზრდება სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრე, მუშაობაში ებმებიან ახალი მშენებლობანი, საექსპლოატაციოდ გადადის ახალი მრავალსართულიანი სახლები, შენდება მთელი დაბები ხოროშევის გზატკეცილზე და იზმაილოვოში.

ხორციელდება საქალაქო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის განახლება. მოსკოვის ქარხნების მიერ გამოშვებული ახალი კომფორტული ტრამვაები, ტროლეიბუსები და ავტობუსები უკვე მიმოდიან დედაქალაქის ქუჩებში.

განსაკუთრებით ფართო გაქანება მიიღო ქალაქის გაზიფიკაციის სამუშაოებმა. აქ გადამწყვეტი როლი შეასრულა ამხანაგ სტალინის ინიციატივით ჯერ კიდევ ომის პერიოდში დაწყებულმა სარატოვ-მოსკოვის გაზსადენის მშენებლობამ.

გაზსადენის სრული ათვისებით დედაქალაქი თითქმის ხუთჯერ მეტ გაზს მიიღებს, ვიდრე ომამდე. შარშან და წლევანდელი 8 თვის განმავლობაში გაზი მიიღო 32 ათასმა ბინამ. თუ რევოლუციამდე გაზი ცენტრალური უბნების პრივილეგია იყო და მას მხოლოდ 10.000 ბინა იყენებდა, ამჟამად გაზიფიკაციამ უკვე მოიცვა ქალაქის ცენტრთან ერთად მოსკოვის ბევრი განაპირა უბანი. იმ ბინების საერთო რაოდენობამ, რომლებმაც გაზი მიიღეს, 100.000-ს მიაღწია, ხოლო ხუთწლედის დამლევისათვის გაზიფიცირებული იქნება 200.000-ზე მეტი ბინა.

მოსკოვის 800 წლის იუბილეს დედაქალაქის მშრომელები აღნიშნავენ იმით, რომ უმაგალითოდ დიდი გაქანებით ავითარებენ დედაქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებს.

მოსკოვი რვა საუკუნეა არსებობს. სოციალისტურ მოსკოვს 30 წელი უსრულდება. ამ 30 წლის განმავლობაში ძნელი იყო ყოველივე იმის გარდაქმნა, რის რეკონსტრუქციაც უნდა მომხდარიყო. მით უმეტეს, რომ ომმა სერიოზული ზიანი მიაყენა ჩვენს ქალაქს და შეაფერხა ბევრი სარეკონსტრუქციო სამუშაო. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მეურნეობის სოციალისტური სისტემა საშუალებას მოგვცემს სწრაფად შევავსოთ დანაკლისი.

რთული და დიდია ჩვენი ქალაქის მეურნეობის შემდგომი გარდაქმნისა და განვითარების ამოცანები. დედაქალაქის მშრომელებს ეჭვი არ ეპარებათ ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრაში. ამის საწინდარია უდიდესი ყურადღება და დახმარება, რასაც მოსკოვის რეკონსტრუქციის საქმეს უწევენ საბჭოთა მთავრობა და პირადად ჩვენი დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი. **(ტაში).**

მოსკოვი ძველთაგანვე იყო და არის მოწინავე მეცნიერული აზროვნების ცენტრი, ჩვენი ხალხის მიერ შექმნილ უდიდეს კულტურულ ღირებულებათა ცენტრი.

მოსკოვის წვლილი რუსულ კულტურაში წინათაც დიდი იყო, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოსკოვის კულტურული და მეცნიერული მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. ჩვენმა დედაქალაქმა სამართლიანად დაიკავა მსოფლიო კულტურის, მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრის მდგომარეობა.

მოსკოვშია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც საბჭოთა მეცნიერების ხელმძღვანელ შტაბს წარმოადგენს და უდიდეს გავლენას ახდენს მოწინავე მეცნიერული აზროვნების განვითარებაზე მთელ მსოფლიოში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მოსკოვში მუშაობენ დარგობრივი აკადემიები. აქ არის მარქს-ენგელს-ლენინის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დამუშავებისა და მასებში მისი პოპულარიზაციის მსოფლიო ცენტრს წარმოადგენს, და პროლეტარული რევოლუციის გენიოსის შესანიშნავი ძეგლი—ვ. ი. ლენინის მუზეუმი. მოსკოვშია მრავალი სამრეწველო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. უკვე ეს ნუსხა ცხადჰყოფს, თუ სამეცნიერო კადრების რა უდიდეს ცენტრს წარმოადგენს მოსკოვი. მოსკოვის, როგორც სამეცნიერო ცენტრის მნიშვნელობა უაღრესად იზრდება იმიტომ, რომ საბჭოთა მეცნიერება მსოფლიოში ყველაზე მოწინავეა, იგი მთლიანად მიმართულია ხალხისადმი სამსახურისაკენ და აქტიურად იბრძვის ცრუმეცნიერული, რეაქციული „თეორიების" წინააღმდეგ.

მოსკოვი განუწყვეტლივ ზრდის ახალ სამეცნიერო კადრებს, საბჭოთა ინტელიგენციის კადრებს. იგი, ჭეშმარიტად, უმაღლეს სასწავლებელთა ქალაქია. მოსკოვში ახლა 89 უმაღლესი სასწავლებელია, მაშინ როცა რევოლუციამდე მხოლოდ 20 იყო.

მსოფლიოს არცერთ დედაქალაქში არ კეთდება ისე ბევრი რამ მოსახლეობის ფართო მასების განათლებისათვის, როგორც მოსკოვში. აქ უკვე დიდი ხანია განხორციელებულია საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლება. მოსკოვში 600 ათასზე მეტი მოწაფეა.

ხალხში პოლიტიკური და კულტურული ცოდნის გავრცელებას მოსკოვში ემსახურება ბიბლიოთეკების, კლუბების, კულტურის სახლების, სალექციო დარბაზების, გამოფენებისა და მუზეუმების ფართო ქსელი.

განსაკუთრებით დიდია მოსკოვის როლი ხელოვნების განვითარებაში. როგორც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ მოსკოვი ისე, რომ იქ სტალინის სახელობის ავტოქარხანა არ იყოს, ასევე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ იგი ისე, რომ აქ არ იყოს სამხატვრო, დიდი და მცირე თეატრები, ტრეტიაკოვის გალერეა.

მოსკოვს მაღლა უჭირავს ღრმა იდეური, თავისი ხალხისადმი ერთგულად მომსახურე, მაღალმხატვრული ხელოვნების დროშა.

მოსკოვის რადიოგადაცემებს ასეულ მილიონობით ადამიანი ისმენს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ეს გადაცემა სსრ კავშირის ხალხთა 70 ენაზე და 32 უცხო ენაზე სწარმოებს.

საბჭოთა სოციალისტური წყობილება უზრუნველჰყოფს მოსკოვში მეცნიერებისა და კულტურის შემდგომ ბრწყინვალე განვითარებას. მარტო 1946-1950 წლების პერიოდში სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მშენებლობასა და მოწყობას მოსკოვში მილიარდ მანეთზე მეტი მოხმარდება.

მოსკოველთა ახალ-ახალი სახელები სტალინური პრემიის ლაურეატთა შორის, რომლებსაც წინ მიჰყავთ საბჭოთა მეცნიერება და კულტურა, მოწმობენ იმას, რომ საბჭოთა მთავრობის, ბოლშევიკური პარტიის, ამხანაგ სტალინის

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ამხ. გ. მ. პოპოვის მოხსენების დასასრული

მზრუნველობას მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები თავიანთი შემოქმედებითი ძალების ახალი დაძაბვით უპასუხებენ.

საბჭოთა სოციალისტური კულტურის შუქი კიდევ უფრო ბრწყინვალედ იკაშკაშებს მოსკოვში, კიდევ უფრო ფართოდ და ქმედითად გავრცელდება მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელებში.

ამხანაგებო!

მოსკოვის 800 წლისთავი დიდი დღესასწაულია ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელისათვის, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანისათვის. მოსკოვი მახლობელი და ძვირფასია ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის. იგი უყვარს, მისით ამაყობს მთელი ჩვენი ხალხი. საბჭოთა ადამიანებს ახარებთ სტალინური მოსკოვის დიადი გარდაქმნები.

მოკლე ისტორიულ ვადაში მოსკოვი გადაიქცა უდიდეს ინდუსტრიულ ცენტრად, ყველაზე მოწინავე მეცნიერების, უაღრესად განვითარებული საქალაქო მეურნეობის ცენტრად.

ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი. შემდგომი ბრწყინვალე აყვავების შესანიშნავი პერსპექტივები იშლება ჩვენი დიადი დედაქალაქის წინაშე.

მოსკოველები, ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და დიდი სტალინის მზრუნველობითა და ყურადღებით აღფრთოვანებულნი, მთელ თავიანთ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ მოსკოვი მუდამ იყოს ღირსეული დედაქალაქი გმირი საბჭოთა ხალხისა, რომელიც ლენინ-სტალინის დროშით მიდის წინ კომუნიზმისაკენ. **(ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან დედაქალაქ მოსკოვს! **(ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს! **(ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს! **(მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

საზეიმო სხდომა დიდ თეატრში მოსკოვის 800 წლისთავის აღსანიშნავად

6 სექტემბერს მოსკოვში დაიწყო დიადი საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვანი დედაქალაქის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი.

საღამოს 5 საათზე სსრ კავშირის დიდ თეატრში შესდგა მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი მოსკოვის 800 წლისთავის დღესასწაულისადმი.

თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ საბჭოთა დედაქალაქის საუკეთესო ადამიანები—სტახანოველები და ინჟინრები, მრეწველობის, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები, მოსკოვსახლო კოლმეურნეობათა წარმომადგენლები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მარშლები, გენერლები, ადმირალები და ოფიცრები, სსრ კავშირისა და რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მთავრობის წევრები.

მოსკოვი! ეს მოკლე სიტყვა კარგად არის ცნობილი მსოფლიოს ყველა კუთხეში. ძველი მოსკოვი რუსეთის დიდი ეროვნული სახელმწიფოს აკვანი იყო. მოსკოვის სახელთან დაკავშირებულია ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და დიდების ზრდა და განმტკიცება. მოსკოვს, რომელიც სათავეში ედგა რუსი ხალხის გმირულ ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, არაერთხელ უხსნია მსოფლიო დამპყრობთა ბარბაროსული ურდოების შესევისაგან.

საბჭოთა მოსკოვი, ქალაქი, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა ლენინი, სადაც ცხოვრობს და მუშაობს სტალინი, გახდა მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის სახელოვანი დედაქალაქი, მოწინავე სოციალისტური ინდუსტრიისა და კულტურის ცენტრი, ახალი სამყაროს სიმბოლო.

სხდომის მონაწილეთა შორის არიან საიუბილეო ზეიმზე მოსკოვს ჩამოსული თექვსმეტივე მოკავშირე რესპუბლიკის დელეგატები. დედაქალაქის დღესასწაული საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დღესასწაულია. ამ დღეს ყოველი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკა, ყოველი მხარე, ყოველი ოლქი სახელოვან იუბილეს აღნიშნავს ახალი შრომითი გამარჯვებებით, მოსკოვისა და მოსკოველთადმი მიძღვნილი საწარმოო საჩუქრებით.

თეატრის დარბაზში არიან საბჭოთა დედაქალაქის იუბილეს დღესასწაულზე ჩამოსული უცხოელი დელეგაციები.

...საღამოს 5 საათია. შეკრებილთა თვალი მიპყრობილია სცენისაკენ, რომლის სიღრმეშიც დგას ვ. ი. ლენინის ქანდაკება და ი. ბ. სტალინის პორტრეტი. სცენის თავზე გადაჭიმულია უზარმაზარი ტრანსპარანტი: „გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ბელადს დიდ სტალინს!“. ოქროს ასოებით ბრწყინავენ სიტყვები: „დიდება მოსკოვს!“.

პრეზიდიუმში გამოჩნდნენ ამხანაგები ა. ა. ჟდანოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ა. ანდრეევი, გ. მ. მალენკოვი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ნ. მ. შვერნიკი, გ. მ. პოპოვი, მ. ა. სუსლოვი, მ. თ. შკირიატოვი და სხვები.

კრების მონაწილენი ხანგრძლივ ოვაციას უმართავენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს. დარბაზში გაისმის მისასალმებელი შეძახილები საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ჩვენი სამშობლოს და მისი სახელოვანი დედაქალაქის მოსკოვის ისტორიული გამარჯვებანი.

საზეიმო სხდომას ხსნის ამხ. გ. მ. პოპოვი.

ორკესტრი ასრულებს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნს. მქუხარე, ხანგრძლივი ტაშის გრიალში ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმს—საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

მოხსენება მოსკოვის 800 წლისთავის შესახებ გააკეთა მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. მ. პოპოვმა.

სხდომაზე გამოქვეყნებულ იქნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმება მოსკოვის 800 წლისთავთან დაკავშირებით. შეკრებილნი დიდი ყურადღებით ისმენენ მისალმების ტექსტს. დარბაზში გაისმის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში.

მოსკოვისა და მოსკოველთადმი მისალმებებით გამოვიდნენ რსფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ი. როდიონოვი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ვ. კორნეიჩუკი, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ი. ნატალევიჩი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ნ. კეცხოველი, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე პ. გ. ლაზუტინი, ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ი. პალეცკისი, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. ქერიმბაევი.

სხდომის მონაწილენი გულთბილად ეგებებიან მოძმე რესპუბლიკების წარმოგზავნილთა გამოსვლებს.

თავმჯდომარე ამხ. პოპოვი ტაშის გრიალში აცხადებს, რომ საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში მიღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ლატვიის, ესტონეთის, კარელია-ფინეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და მოლდავეთის სს რესპუბლიკების მისალმებანი, ჩვენი ქვეყნის ბევრი მხარის, ოლქისა და ქალაქის საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების მისალმებანი.

პრეზიდიუმში მიღებულია აგრეთვე სახელმწიფო მოღვაწეების, საზოგადოებრივი და კულტურული ორგანიზაციების მისალმებანი საზღვარგარეთიდან — იუგოსლავიიდან, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ბრაზილიიდან, ინდოეთიდან, ეთიოპიიდან და სხვ.

შეკრებილნი მქუხარე, ალტაცებული ოვაციით ეგებებიან ამხ. პოპოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება ქალაქ მოსკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

დარბაზი ფეხზე ამდგარი, საზეიმო სიჩუმეში, ისმენს ბრძანებულებას, რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქი მოსკოვი მისი 800 წლისთავთან დაკავშირებით სამშობლოს წინაშე მოსკოვის მშრომელთა თვალსაჩინო დამსახურებისათვის, გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის, მრეწველობის, კულტურის განვითარებასა და ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის განხორციელებაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. ბრძანებულება გამოქვეყნებულია. გრიალებს ახალი, ხანგრძლივი აღფრთოვანებული ტაში, რომელიც სხდომის მონაწილეთა ხსოვნაში სამუდამოდ აღბეჭდავს ქალაქის ცხოვრების ამ ისტორიულ მომენტს.

შემდეგ ამხ. პოპოვი აცხადებს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით დაჯილდოებული არიან ორდენებით მოსკოვის მეტროპოლიტენი, მოსკოვის წყალსადენის რუბლიოვის სადგური, გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, ბოტკინის სახელობის საავადმყოფო, მოსკოვის წყალსადენის სტალინის სადგური, მოსკოვის ტრამვაი, მოსკოვის სახანძრო დაცვა, მოსკოვის გაზის ქარხანა, ტრესტი „მოსქილსტროი“.

შეკრებილნი ხანგრძლივი ოვაციით ხვდებიან ცნობას, რომ მთავრობის მიერ დაჯილდოებულია მოსკოვის საქალაქო მეურნეობის 3.227 მუშაკი.

სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხ. ი. ბ. სტალინისადმი. თეატრის დარბაზში დიდხანს ჰქუხდა ტაში საბჭოთა ხალხების დიდი ბელადის პატივსაცემად, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ჩვენი სამშობლოს და მისი სახელოვანი დედაქალაქის ისტორიული გამარჯვებანი. (საკდესი).

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის კორეის საკითხზე წერილების გაცვლის გამო

როგორც უკვე გამოქვეყნებული იყო პრესაში, ამა წლის აგვისტოში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. მარშალმა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა ერთმანეთს გაუგზავნეს წერილები კორეის საკითხთა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით.

აგვისტოს დამლევს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოვალეობის აღმსრულებელმა ბ-ნმა ლოვეტმა ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს მიმართა წერილით, რომელშიც აღნიშნულია, რომ ერთობლივმა კომისიამ ვერ შესძლო შეთანხმების მიღწევა იმის შესახებ, თუ ეს კომისია რა საფუძველზე უნდა მოეთათბიროს კორეის დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, და რომ ამერიკის დელეგაციამ ვერ მიაღწია საბჭოთა დელეგაციის თანხმობას იმ კრიტერიუმების შესახებ, რომლებიც კორეის პარტიებისა და ორგანიზაციების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნან ერთობლივ კომისიასთან საკონსულტაციოდ მათი სიაში შეტანის საკითხის გადაწყვეტისას.

წერილში აგრეთვე ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კატეგორიულად უარჰყოფს, რომ ამერიკის ზონაში ტარდებოდა კორეის პარტიების ან ცალკე პირების რაიმე შეზღუდვა ან დევნა. ამავე დროს აღნიშნულია, რომ დაპატიმრებანი, რაც სამხრეთ კორეაში მოხდა და რის შესახებაც აღნიშნული იყო ვ. მ. მოლოტოვის 23 აგვისტოს წერილში, თითქოს აუცილებელი იყო იმისათვის, რომ „დაწესებულიყო კონტროლი ამერიკის ზონაში კანონიერი ხელისუფლების დამხობის, აგრეთვე კანონისა და წესრიგის დარღვევისაკენ მიმართულ ძირგამომთხრელ საქმიანობაზე“.

ბ-ნი ლოვეტი ამტკიცებს, ერთობლივი კომისიის მუშაობა ჩიხში მოექცა, ამ კომისიას არ ძალუძს შეასრულოს თავისი მისია, და აცხადებს, რომ ორმხრივი მოლაპარაკება კორეის პოლიტიკურ პარტიებთან და ორგანიზაციებთან კონსულტაციის საკითხზე, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აზრით, გამოიწვევს მხოლოდ იმას, რომ შეფერხდება კორეის შესახებ მოსკოვის გადაწყვეტილების განხორციელება.

ამასთან დაკავშირებით ბ-ნ ლოვეტის წერილში წამოყენებულია წინადადება, „რომ ოთხი სახელმწიფო (სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთი), რომლებიც მოსკოვის შეთანხმებას შეუერთდნენ, შეიკრიბოს იმის განსახილველად, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს ეს შეთანხმება“. წამოყენებული იყო წინადადება, რომ ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთა მოლაპარაკება დაწყებულიყო ვაშინგტონში 1947 წლის 8 სექტემბერს.

თავისი წერილის პირები ბ-ნმა ლოვეტმა გაუგზავნა დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს ზემოაღნიშნულ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად მიწვევასთან ერთად.

ბ-ნ ლოვეტის წერილს დართული აქვს „შეერთებული შტატების წინადადებანი კორეის შესახებ“, რომლებიც, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აზრით, განხილულ უნდა იქნან ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთა თათბირზე. ამ წინადადებებში გათვალისწინებულია არჩევნების ჩატარება საბჭოთა კავშირისა და ამერიკის პასუხისმგებლობის ზონებში იმ მიზნით, რომ შეიქმნას დროებითი ზონალური საკანონმდებლო კრებები. ზონალურმა საკანონმდებლო კრებებმა უნდა აირჩიონ წარმომადგენლები დროებითს ეროვნულ საკანონმდებლო კრებაში წარსაგზავნად, რომელიც მოწვეული იქნება სეულში გაერთიანებული კორეის დროებითი მთავრობის შესაქმნელად. გაერთიანებული კორეის ამ წესით შექმნილი დროებითი მთავრობა უნდა შეხვდეს კორეის შესახებ მოსკოვის გადაწყვეტილების მონაწილე ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლებს და განიხილოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კორეისათვის დახმარების გაწევასა და მისი აღდგენისათვის ხელის შეწყობასთან. ამერიკის წინადადება შეიცავს აგრეთვე პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს დროებითი საკანონმდებლო კრებების მიერ დროებითი კონსტიტუციების შედგენას, აგრეთვე ორივე ზონისათვის იმის შესაძლებლობის მინიჭებას, რომ სეპარატულად დაამყარონ კავშირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შექმნილ საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ამ წერილის პასუხად ვ. მ. მოლოტოვმა 4 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ბ-ნ ჯ. მარშალს გაუგზავნა შემდეგი წერილი:

„ვადასტურებ ბ-ნ ლოვეტის ა. წ. 26 აგვისტოს წერილის მიღებას და საჭიროდ მიმაჩნია თქვენი ყურადღება მივაპყრო იმას, რომ, საგარეო საქმეთა სამი მინისტრის მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილების თანახმად, კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნისათვის ხელის შესაწყობად ღონისძიებათა წინასწარ შემუშავებას ეწევა ჩრდილოეთ კორეაში მყოფი საბჭოთა ჯარების სარდლობისა და სამხრეთ კორეაში მყოფი ამერიკის ჯარების სარდლობის წარმომადგენელთაგან შექმნილი ერთობლივი კომისია. ოთხი მთავრობის, მათ შორის დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის მთავრობების, განსახილველად, მოსკოვის გადაწყვეტილების თანახმად, გადაცემულ უნდა იქნას ერთობლივი კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები მათი მიხედვით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. გარდა ამისა, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის მთავრობებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებთან ერთად, იმ წინადადებათა განხილვაში, რომლებსაც საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისია შეიმუშავებს კორეელი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური პროგრესის, დემოკრატიული თვითმმართველობის განვითარებისა და კორეის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამყარებისათვის დახმარებისა და ხელშეწყობის (მეურვეობა) ღონისძიებათა შესახებ, რათა შემუშავებულ იქნას შეთანხმება კორეის მიმართ ოთხი სახელმწიფოს მეურვეობის შესახებ.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის ამოცანა, როგორც ცნობილია, ის არის, რომ ხელი შეუწყოს მთელი კორეისათვის ერთიანი დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნას.

ერთობლივმა კომისიამ ამ მხრივ მართლაც ჯერ კიდევ ცოტა რამ გააკეთა, მაგრამ ასეთი მდგომარეობა, უმთავრესად, იმ პოზიციის შედეგი იყო, რომელიც ამერიკის დელეგაციამ დაიკავა კორეის დემოკრატიულ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კომისიის კონსულტაციის საკითხში, რაც აღნიშნული იყო თქვენს სახელზე გამოგზავნილ ჩემს უკანასკნელ წერილში. ამერიკის დელეგაციას ჯეროვანი მისწრაფება რომ გამოეჩინა კორეაში ნამდვილად დემოკრატიული მთავრობის შექმნისათვის ხელის შესაწყობად, ერთობლივი კომისიის მუშაობა უფრო წარმატებითი იქნებოდა, მასზე დაკისრებული ამოცანა შეიძლებოდა შესრულებულიყო და აღარ იქნებოდა ის უძრაობის მდგომარეობა ერთობლივი კომისიის მუშაობაში, რასაც ბ-ნ ლოვეტის წერილი ჩიხს უწოდებს.

როგორც თქვენთვის ცნობილია, საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც სურს გადასწყვიტოს ერთობლივ კომისიაში შექმნილი მდგომარეობა და ისწრაფვის დააჩქაროს მუშაობა კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შესაქმნელად, დაეთანხმა ამერიკის დელეგაციის წინადადებას არ ჩატარებულიყო სიტყვიერი კონსულტაცია კორეის დემოკრატიულ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ამა წლის 26 აგვისტოს შეიტანა ახალი წინადადება იმის შესახებ, რომ შექმნილიყო საკონსულტაციო ორგანო — სრულიად კორეის დროებითი სახალხო კრება მთელი კორეის დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან. ეს წინადადება, ჩვენი აზრით, წინააღმდეგობას არ უნდა შეხვდეს ამერიკის დელეგაციის მხრივ, ვინაიდან ამ წინადადებას შეუძლია თავიდან აგვაცილოს სიძნელენი, რომლებსაც ერთობლივი კომისია წააწყდა.

საჭიროდ მიმაჩნია ზემოხსენებულს დავძინო, რომ საბჭოთა დელეგაციის წინადადებაში აღნიშნული ღონისძიების წარმატებით განხორციელება შესაძლებელია დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების მხოლოდ თავისუფალი და დაუბრკოლებელი საქმიანობის საფუძველზე, რომელთა წარმომადგენლებისადმიც სამხრეთ კორეაში ამჟამად მიმართავენ დაპატიმრებასა და სხვა რეპრესიებს, რაც შეუთავსებელია დემოკრატიისა და კანონიერების პრინციპებთან, აგრეთვე იმ ვალდებულებებთან, რაც კორეის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მთავრობებმა იკისრეს.

იმასთან დაკავშირებით, რომ ერთობლივ კომისიაში საბჭოთა დელეგაციის პოზიციის შესახებ ბ-ნ ლოვეტის წერილში მოყვანილია მტკიცება, რომლის აზრიც ის არის, რომ საბჭოთა დელეგაციამ თითქოს არ გამოიჩინა ამერიკის დელეგაციის წინადადებათა საკმაო გაგება, მე საჭიროდ არ მიმაჩნია შევჩერდე ამ მტკიცებაზე მისი აშკარა უნიადაგობის გამო.

ამასთანავე არ შემიძლია მწუხარება არ გამოვთქვა თქვენი ისეთი ცალმხრივი მოქმედების გამო, როგორიცაა დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის მთავრობებისათვის მოწვევის გაგზავნა, რომელშიც სთხოვთ მონაწილეობა მიიღონ ამ საკითხის განხილვაში და უნიშნავთ თათბირის ადგილსა და თარიღს.

თქვენი წინადადება კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნის საკითხის ოთხი ქვეყნის მთავრობათა განსახილველად გადაცემის შესახებ საბჭოთა მთავრობას მიზანშეუწონლად მიაჩნია, ვინაიდან ერთობლივ კომისიას ჯერ კიდევ სრულებითაც არ ამოუწურავს ყველა თავისი შესაძლებლობა შეთანხმებული რეკომენდაციების შემუშავებისა, რაც სავსებით შესაძლებელია. მიუღებელია აგრეთვე ბ-ნ ლოვეტის წერილში მოყვანილი „შეერთებული შტატების წინადადებანი კორეის შესახებ“. ამ წინადადებებმა არ შეიძლება არ გამოიწვიონ კორეის შემდგომი გათიშვა, ვინაიდან ისინი ითვალისწინებენ ცალკეული დროებითი საკანონმდებლო კრებების შექმნას სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეაში (საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ზონებში), მაშინ როდესაც არსებითი ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ ხელისუფლების თუნდაც დროებითი, მაგრამ ერთიანი ორგანოს —სრულიად კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნას. ამერიკის წინადადებანი თავიდან არ გვაცილებენ კორეაში ამჟამად არსებულ მდგომარეობას—ამ ქვეყნის ორ ზონად დაყოფას, რომლის ლიკვიდაციისაკენ უნდა იყოს მიმართული მთელი ძალღონე,—არამედ, პირიქით, განამტკიცებენ ამ არანორმალურ მდგომარეობას.

იმის გამო, რომ წინადადება ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთა ერთობლივ თათბირზე კორეის საკითხის განხილვის შესახებ არ გამომდინარეობს კორეის შესახებ საგარეო საქმეთა სამი მინისტრის მოსკოვის გადაწყვეტილებიდან, და იღებს რა მხედველობაში ზემომოყვანილ მოსაზრებებს, საბჭოთა მთავრობას შესაძლებლად არ მიაჩნია მიიღოს ბ-ნ ლოვეტის წერილში წამოყენებული წინადადებანი.

ამ წერილის პირებს ვუგზავნი დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის მთავრობებს“. (საკდესი).

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი

5-7 სექტემბერს მწერალთა სასახლეში მიმდინარეობდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: ქართული საბჭოთა ლიტერატურა ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილების შემდეგ. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ს. ჩიქოვანი, თანამოხსენებით—საბჭოთა მწერლების კავშირის აფხაზეთის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ხ. ბღაჟბა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ი. ლისაშვილმა, ბ. კეშელავამ, ა. ჭეიშვილმა, პ. ლორიამ, ა. ბელიაშვილმა, გ. სამხარაძემ, ვ. ატრიანმა, ვ. სულაბერიძემ, ვ. ბეგიზოვმა, დ. შენგელაიამ, ა. გაწერელიამ, ს. კლდიაშვილმა, კ. გამსახურდიამ, ბ. ჟღენტმა, გ. ჯიბლაძემ, რ. მადურმა, ნ. ნაკაშიძემ და სხვ.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. პ. შარიამ. ამხ. შარიამ ვრცლად გააშუქა საქართველოს საბჭოთა მწერლობის აქტუალური ამოცანები და მკაცრად გააკრიტიკა მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას ამნეული და იდეოლოგიურად მცდარი გამოსვლა.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა მომხსენებელი ამხ. ს. ჩიქოვანი.

პლენუმმა მიიღო სათანადო რეზოლუცია.

პლენუმის დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება „კომუნისტის“ უახლოეს ნომერში.

მოსკოვის 800 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი თბილისში

7 სექტემბერს თბილისში დიდი სახალხო ზეიმი იყო. თბილისის მშრომელები მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად დღესასწაულობდნენ საბჭოთა კავშირის საყვარელი დედაქალაქის მოსკოვის დაარსების 800 წლისთავს.

ქუჩები მოირთო ლოზუნგებით, პლაკატებით, დიდი სტალინისა და მისი თანამებრძოლების სურათებით.

დილიდანვე დაიწყო ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში დიდი სახალხო სეირნობა. პარკში გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი დედაქალაქის საუკეთესო არტისტული ძალების მონაწილეობით. პარკის სალექციო დარბაზი ვერ იტევდა მსმენელებს; მათ უდიდესი ინტერესით მოისმინეს მოხსენება „მოსკოვის 800 წლისთავი“. უამრავი ხალხი მიიზიდა სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკმა.

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაიხსნა დიდი გამოფენა, რომელიც ასახავს ძველ, ოქტომბრის რევოლუციამდელ და ახალ მოსკოვს. თბილისის ბევრ სკოლაში მოეწყო ბავშვთა მხატვრული დილები, რომლებზეც ბავშვებმა წაიკითხეს ქართველი და რუსი პოეტების ლექსები მოსკოვზე.

საღამოს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქმა 20 საარტილერიო ზალპით სალუტი მისცა მოსკოვის 800 წლისთავის აღსანიშნავად.

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

7 და 8 სექტემბერს სსრ კავშირის 1947 წლის პირველობის გათამაშების ლიდერებმა — მოსკოვის „დინამოს“, მოსკოვის „ცდკა“-სა და თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებმა ჩაატარეს მორიგი მატჩები.

7 სექტემბერს მოსკოვში სსრ კავშირის ჩემპიონ მოსკოვის „ცდკას“ წინააღმდეგ თამაშობდა მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდი. პირველი ტაიმის 41-ე წუთზე ვიაჩესლავ სოლოვიოვმა („ცდკა“) გაიტანა ერთადერთი ბურთი „ტორპედოს“ კარში. ამრიგად, მატჩი მოიგეს არმიელმა ფეხბურთელებმა, ანგარიშით — 1:0.

ამავე დღეს ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

მოსკოვის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდების მატჩი, რომელიც შესდგა გუშინ ლენინგრადში, დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით, ანგარიშით — 3:1.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

კესხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

9 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, ახალგაზრდა პედაგოგებისათვის შესდგება ამხ. **ჟღენტის** ლექცია თემაზე: **„მხატვრული ლიტერატურის აღმზრდელობითი მნიშვნელობა“.**

9 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ამხ. **მირიანაშვილისა** და ამხ. **ნოლიანის** კონსულტაცია საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიაში.

10 სექტემბერს, დილის 9 საათზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ი. ბ. სტალინის თხზულებათა მესამე ტომი“.**

სემინარს უხელმძღვანელებს ამხ. **გეგეშიძე.**

ლ ე ქ ც ი ა

9 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ამხ. **ზ. სიმონიშვილის** ლექცია თემაზე: **„ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის შესახებ საბჭოთა კავშირში“.**

ლ. პ. ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 23 სექტემბერს, დღის 12 საათზე, ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (მარის ქ. № 35) შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზეც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ნიკოლოზ სოლომონის-ძე იაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„საქართველოს სსრ მიწის ფონდები და მათი გამოყენება“.**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, დოქტორი, პროფესორი **გ. ნ. გეხტმანი,** დოქტორი, პროფესორი **ი. ლ. ჯაში,** მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, პროფესორი **ი. ნ. ლომოური** და დოქტორი, პროფესორი **ლ. მ. ზალცმანი.**

მსურველებს შეუძლიათ გაეცნონ შრომას ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

დირექცია

ლ. პ. ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს **კონკურსს** უცხო ენების კათედრის გამგის ვაკანტურ თანამდებობაზე. განცხადება სათანადო საბუთებით შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტში (მარის ქ. № 33) არაუგვიანეს ორი კვირისა დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

დირექცია

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია აცხადებს ასპირანტურაში მიღებას შემდეგ სპეციალობებზე: 1. ფორტეპიანო, 2. მუსიკის თეორია. მისაღები გამოცდები 15 სექტემბერს.

გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: სპეციალობაში, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში და ერთ-ერთ უცხო ენაში. დაწვრილებითი ცნობები კონსერვატორიის სასწავლო ნაწილში.

დირექცია

მოქალაქე **არჩილ ფრიდონის-ძე შერმადინმა,** მცხოვრებმა ქარელის რაიონი, სოფელ ღვლევი, აღძრა საქმე ქ. თბილისში, ნიკოლაძის შესახვევი № 3-ში მცხოვრებ მოქალაქე **ნინო პეტრეს ასულ ნოჯევანიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

დედა ოლღა, დები ქეთო, თამარ, ნინო, სიძე მიხეილ ყარყარაშვილი შვილებით იუწყებიან ექიმ **ვალენტინა თომას ასულ დუგლაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-IX, 6 ს. ქუთაისში, ურიცკის, 42.

გიორგი გოჩიაშვილი ოჯახით იუწყება დის **თამარ ისაკის ასულ გოჩიაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 9-IX, 5½ ს. მაგისტრალის, 65.

დედა ქრისტინე, შვილი რემი აპარინი, ძმა ლევან ოჯახებით იუწყებიან **ცეცილია პეტრეს ასულ ბართაიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 11-IX, 6 ს. კომინტერნის, 5.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 110,000

უე 10433